


# მასშტაბი



ბაზეთი ბამოდის ოთხშაბათს და პარასკევს 28-30 ნოემბერი 1996 წელი

## გაფორმადა ხელშეკრულება ბელორუსიის მრეწველობის სამინისტროსთან


საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება მრეწველობის ტემპების ზრდის გარეშე რომ არ მოხდებოდა, ამასი, მგონი საკამათო არაფერია. მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა უკვე გაიგო, რომ უცხოური კრედიტები ეკონომიკური სიტუაციის სტაბილიზაციას ხმარდება და მის ხარჯზე "უზრუნველ ცხოვრებას" ვერ მოვიწყოთ. წინსვლა სახეზეა და ციფრებიც ამის ნათელი დადასტურებაა. მრეწველობის დეპარტამენტის ცნობით, საწარმოებმა 10-20 ნოემბრის განმავლობაში გამოუშვეს 1,6 მლნ ლარის ღირებულების პროდუქცია, რაც 10,7 პროცენტით ჭარბობს წინა დეკადაში წარმოებული პროდუქციის მოცულობას. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში პროდუქციის წარმოების მოცულობები გაიზარდა დეპარტამენტში შემავალ ყველა კომპანიაში - 5,3 პროცენტით და ხის დამამუშავებელ მრეწველობაში - 5,5 პროცენტით.



ტამენტში შემავალ ყველა კომპანიაში - 5,3 პროცენტით და ხის დამამუშავებელ მრეწველობაში - 5,5 პროცენტით.

როგორც ცნობილია, დეპარტამენტის მიერ გასულ კვირაში გაფორმადა შეთანხმება ბელორუსიის მრეწველობის სამინისტროსთან. 1997 წლისათვის გათვალისწინებულია საქართველოში ორმოცამდე დასახელების მასალის, ნედლეულის, მაკომპლექტებული დეტალების და ზოგიერთი სახის მზა პროდუქციის შემოტანა და ჩვენი მხრიდან 25 დასახელების სამრეწველო პროდუქციის მიწოდება. მრეწველობის დეპარტამენტიდან კოლპერაციაში ჩართულია ისეთი საწარმოები, როგორცაა ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, ს/ს "ჩარხ-მშენებელი", ქუთაისის "ელექტრომექანიკოსი", ს/გ "ელექტროაპარატი". ალბათ, ურიგო არ იქნება, თუ ამ პროცესში სხვა საწარმოებიც მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას.

## ნომერი 6:



საზღვაო კოლექსიის მიღება ეკონომიკური კავშირების განვითარებას უზრუნველყოფს სპლს 83.3



ელექტროენერჯი - სტრატეგიული რესურსი 83.4

გამართა საქართველოს მთავრობის გაფართოებული სხდომა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი ელუარდ შევარდნაძე უძღვებოდა. სხდომაზე მინისტრებმა, პრეზიდენტის რწმუნებულებმა და მთავრობის წევრებმა იმსჯელეს მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულებისა და მომავალი წლის საბიუჯეტო პროგნოზული მაჩვენებლების შესახებ. აღინიშნა, რომ ათი თვის მანძილზე ბიუჯეტი, მთლიანი შემოსავლების მიხედვით 99,5 პროცენტით შესრულდა. დაგეგმილი 310 მილიონი ლარიდან, საგა-


## იმერეთში ბიუჯეტი არ სრულდება

დასახადო და საბაჟო სამსახურების მიერ 240 მილიონი ლარია ამოღებული. დარჩენილი 70 მლნ ლარის ბიუჯეტში ჩარიცხვა კი დიდ სიმწიფეს არ უნდა წარმოადგენდეს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 10 თვის საპროგნოზო მაჩვენებლები ვერ შეასრულეს იმერეთის, ქვემო ქართლის, გურიის, მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის მხარეში.

სხდომა შეჯამა საქართველოს პრეზიდენტმა ელუარდ შევარდნაძემ. მისი განცხადებით, საგადასახადო და საბაჟო სამსახურებმა ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, ასევე რწმუნებულებმა და გამგებლებმა უნდა იზრუნონ 1996 წლის ბიუჯეტის შესასრულებლად. პრეზიდენტის აზრით, უმჯობესია ბიუჯეტის პროექტის ე.წ. მაქსიმალური ვარიანტის მიღება,

რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიასთან განიხილება. აღნიშნული მისიის ვიზიტი 5 დეკემბრისთვისაა დაგეგმილი. ქვეყანას აქვს ის რესურსები, რომლებიც დასახული პროგრამის შესახებ საუბრის საშუალებას იძლევა. მნიშვნელობა არა აქვს, იქნება ეს საპრეზიდენტო თუ საგანგებო პროგრამა. როგორც ელუარდ შევარდნაძემ განაცხადა, საბიუჯეტო შემოსავლების მაქსიმალური მობილიზების თვალსაზრისით მომავალი წელი გარდატეხის წელი უნდა გახდეს.

## საქართველოს ჩაი, "ბორჯომი" და კურორტები - საკმარისია დამოუკიდებლობისათვის?



როდესაც საბჭოთა კავშირის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება, საქართველოში ხშირად გაიგონებდით ფრაზას: საქართველოს დამოუკიდებლობას ჩაი, "ბორჯომი" და კურორტები უზრუნველყოფს. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ქვეყანა დიურე დამოუკიდებელია (დე-ფაქტო რა მოგახსენოთ) და ეს აქსიომა (მამინდელი გაგებით) ბევრს ვადავიწყდა. დღევანდელი გადასახედიდან კარგად ჩანს, რამდენად შეეფერებოდა სიმართლეს 5-6 წლის უკან გაერცხლებული აზრი. ჩვენდა სამწუხაროდ, მაშინდელი პესიმიზმი მართლაც აღმოჩნდა. ჩაი, როგორც კულტურა, დღეს ფაქტიურად აღარ არსებობს და მისი პრესტიჟის აღდგენას დსთ-ს ქვეყნებშიც კი (შორეულ საზღვარგარეთზე რომ არაფერი ვთქვათ) ალბათ წლები დასჭირდება. "ბორჯომი", მართალია მრავალრიცხოვანი რეკლამებით (თუნდაც უგემონოდ შესრულებული) გახდა პოპულარული, მაგრამ მიღებული მოგება ვის დამოუკიდებლობას უწყობს ხელს, ეს კიდევ გასარკვევია (გამორიცხული არ არის, რომ გავადრო და ამ საკითხით "შესაბამისი ორგანოები" (ე. შევარდნაძე) დაინ-

ტერესდებიან). უფრო რეალურად დავს ტურიზმის საკითხი, რადგან მის აღორძინებას ჩაი და ბორჯომთან შედარებით, უზარმაზარი თანხები სჭირდება. 80-ან წლებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში 620-ზე მეტი სასტუმრო, სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი არსებობდა. ხოლო თუ სტატისტიკას დაუუჯერებთ, წლის განმავლობაში 5 მილიონამდე დამსვენებელი ჩამოდიოდა. ქვეყანაში მიმდინარე ნაირ-ნაირმა ომებმა დარც დიდი დასავა. უფრო მეტიც, ყველას კარგად მოეხსენება, რომ ძირითად საზღვაო-საკურორტო ზონაში საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა და ამჟამად ამ ტერიტორიის 60 პროცენტზე მეტი დანადგულია. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ჩვენთან გასარუჯად არავინ ჩამოვიდოდა. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში სტაბილიზაციის ნიშნები უკვე იგრძნობა (როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური), რაც ტურისტული მოძრაობის აღდგენის ერთ-ერთ მყარ პირობად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ ამას გვემაზომიერი პოლიტიკის (დასასრული მე-3 გვ.)



არ უმხმედრისართი პრეზიდენტულ მსახირობს? 83.5



ბილი კოლივიუდელების საყვარელი «ბიჭუნაა» 83.7

## ნომერი 6:

(დასასრული)

გატარება სჭირდება და არა მკერდში მუშტების ბრაგუნა. მთელს მსოფლიოში ტურიზმის განვითარების ძირითადად სამი პრიორიტეტული გზა არსებობს. საქართველოს საკურორტო ადგილებში ალბათ უნდა მოხდეს სასტუმროებისა და დასასვენებელი სახლების რესტავრაცია (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით), რადგანაც მათ მომავალში ცივილიზებული სამყაროს ადამიანების (და არა საბჭოთა) მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს. ამ მიმართულებას ჩვენთან გარკვეული ტრადიციები აქვს და მასში ადგილობრივი მოსახლეობაც (ძირითადად ქართველები) აქტიურად იყო ჩაბმული (ღვინო, დუღუკი, ...).

შედარებით უჩვეულოა ჩვენთვის მეორე გზა - უცხოელი ტურისტების დაინტერესება საქართველოს ისტორიული ძეგლებით და თანამედროვე მიღწევებით (თუკი ასეთი რამ არსებობს). საბერძნეთსა და იტალიაში ჩასულ ტურისტებს შორის მოეწყო გამოკითხვა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ მათი 65 პროცენტი უძველესი ქალაქების სანახავად იყო ამ ქვეყნებში ჩასული და მხოლოდ 20 პროცენტი მიიზიდა იქაური ზღვის სიმშვენიერემ და მზის მცხუნვარებამ. საქართველო ისტორიული ძეგლების სიმრავლით ალბათ ერთ-ერთ პირველ ადგილზე იქნება მსოფლიოში (სახელმწიფო ტერიტორიის ერთეულზე მოსულ ძეგლების რაოდენობით) და ამ მიმართულებას დიდი პერსპექტივა აქვს, მაგრამ აქაც საკმაოდ დიდი ფულადი დახმარება სჭირდება (ექსკურსიამდოლების მომზადება და სხვ.).

კიდევ უფრო უჩვეულოა ჩვენთვის ტურიზმის მესამე მიმართულება - სპეციფიური სახეების განვითარება, რომელიც ძირითადად განსხვავდება პირველი ორისაგან. ჩამოსულ სტუმარს საშუალება ეძლევა შეიგრძნოს უჩვეულო სიტუაციის მთელი ხიბლი. ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში მილიონობით ამერიკელი და ევროპელები ამაზონის გაუგავსებელ ტყეებში მიდიოდნენ ნიანგებზე სანადიროდ (უშუალოდ შემთხვევაში დაცვის გარეშე). ასეთი წინადადებების შეთავაზება უცხოელებისათვის, რა თქმა უნდა, არ შეეკედლა, მაგრამ არის თბილისშიც დაწესებულებები, რომლის ხელმძღვანელობის გადინანებას ადექვატურად მოჰყვება ხოლმე მწვავე შეგრძნებების საკუთარ თავზე გამოცდა.

ერთი სიტყვით, პირველი სახე - საკურორტო ტურიზმის კულტურის ამაღლება და მასობრივად დანერგვა საქართველოსთვის ყველაზე მომგებიანი იქნება.


როგორც ზემოთ აღინიშნა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სტაბილიზაციამ ტურიზმის გამოცოცხლება გამოიწვია. სტატიის ტიკას თუ დაუჯერება, ამა წლის იანვარ-ივნისში საქართველოში დღეს-სახელმწიფოებიდან 13

რისტიც, "სპუტნიკი" და სხვა მრავალი. დაგეგმვაც იქ ხდებოდა და ანგარიშის ჩაბარებაც. ახლა სხვა დროა. საგზურების განაწილება მთელი დედაქალაქის ერთ მეექვსედზე უკვე აღარ ხდება. დარგის ორგანიზაციებმა თავად უნდა შესძლონ კლიენტურის (მათ შორის მუდმივისაც) გამოძებნა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველი მოცდენილი ადგილი, ბუნებრივია, საგზურის ღირებულებას გაზრდის, რაც

ამ მხრივ დიდი მუშაობა იქნება გასაწყვეტი. მნიშვნელოვანია ტურიზმის მოთხოვნილების (კონიუნქტურის) შესწავლაც. არ შეიძლება ზაფხულში ტურისტების მისაღებად გამართო და მწყობრში ჩააყენო გუდაურის კომპლექსი, ისევე როგორც ქობულეთის სასტუმროებს იანვარ-თებერვალში მთლიანი სიმძლავრით ვერ ამუშავებ. ქვეყანაში ფუნქციონირებს

ხედავთ სხვაობას? პირველ შემთხვევაში ორმაგი საფრთხეა, რაც მკერდად მოედლებს უზარისხობას უწყობს-ხელს. მუშაობის დაწყების შემდეგ ხალხში, გარკვეულწილად, კერძო მეწარმეები არიან და სწორედ ისეთივე პრობლემები აწუხებთ, როგორც თამბაქოს ან ფენსაცმლის ფაბრიკის მფლობელებს. ისინი ყოველთვის ეცდებიან (თუ არსებობს უნდათ), რომ მათი მომსახურება მაღალი დონის იყოს. ეს კი მომხმარებლის (ტურისტის) მზარდ დაინტერესებას იწვევს. იზრდება ბიუჯეტში გადახდილი თანხის მოცულობა, რაც საბოლოოდ სახელმწიფოს ინტერესებში შედის.

## საქართველოს ჩაი, "ბორჯომი" და კურორტები - საკმარისია დამოუკიდებლობისათვის?



ათასამდე ადამიანი შემოვიდა, ხოლო სხვა ქვეყნიდან 9 ათასზე მეტი. ბუნებრივია, იმის თქმა, რომ ყველა მათგანი დასასვენებლად გვესტუმრა, არ შეიძლება (ალბათ, საქმიანი მგზავრობების წილი საკმაოდ დიდია), მაგრამ წინსვლაც რომ სახეზეა, ამის უარყოფაც ძალით თვალის დახუჭვა იქნებოდა. გაცილებით მეტია საქართველოდან გასული მოქალაქეების რიცხვი. ოფიციალური მონაცემებით მათი რაოდენობა 110 ათასს აღემატება. თუ ამას არაოფიციალურ გასვლებსაც დავუმატებთ, გამოვა, რომ ქვეყანა 130 ათასამდე ადამიანმა დატოვა. წინა წლებში, ასევე ოფიციალური მონაცემებით, ეს ციფრი 75-80 ათასს არ აღემატებოდა.

ტურიზმის განვითარება, ალბათ, მნიშვნელოვნად შეაფერხა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ. ამ დარგის ორგანიზაციები ყოველთვის მიჩვეულნი იყვნენ "ზემოდან" კარნახს. არსებობდა მოსკოვიდან მართვადი "ინტუ-

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გარეშე ორგანიზაციას კონკურენტუნარიოს გახდის. ამას კი მარკეტინგული სამსახურის შექმნა სჭირდება. ტურისტული ფირმებისა და უკვე კერძო, პრივატიზებული სასტუმროების ხელმძღვანელობამ უნდა გაიგონ, რომ ნაცნობ-მეგობრების საშუალებით დასასვენებელი ადგილის ამორჩევა იშვიათად თუ ხდება. საჭიროა რეკლამები, რა თქმა უნდა, კეთილსინდისიერი, რადგან მოტყუების შემთხვევაში დამსვენებელი მთელ თავის ნაცნობობას მოსდებს თქვენი თადელობის ამბავს. პოტენციურმა კლიენტმა გაზეთის, ტელევიზიისა თუ რადიოს საშუალებით დაწვრილებითი ინფორმაცია უნდა მიიღოს იმ ადგილის შესახებ, სადაც თავის შეგებულებას, ან უბრალოდ თავისუფალ დროს გაატარებს.

საქართველოში საკანონმდებლო ბაზის მოუწესრიგებლობა ყველა დარგს უშლის მუშაობაში ხელს. გამონაკლისი არც ტურიზმი იქნება.

ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც, ალბათ, სწორედ ამ საკითხებით უნდა დაინტერესდეს. ყურადღება უნდა დაეთმოს კერძო სექტორის განვითარებას. მსოფლიო საზოგადოება უკვე დიდი ხანია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კერძო სექტორში საქმიანობა უკეთ მიმდინარეობს. ამას გამართლება აქვს. შევეცდები დავასაბუთო.

როდესაც ადამიანი სახელმწიფო სამსახურშია, იგი ცდილობს რაც შეიძლება მეტი ფული იმოვოს (ეს ბუნებრივიცაა) და არ აინტერესებს გამოშვებული პროდუქციის ან მომსახურების დონის ხარისხი. პარალელურად ცდილობს მოახერხოს გადასახადების არგადანდა (და საკუთარ ჯიბეში "გადაქაჩვა"). როცა საწარმოს მფლობელი კერძო პირია, მან იცის, რომ მისი პროდუქცია უნდა გახდეს ხარისხიანი, რათა ბაზარზე დაიმკვიდროს ადგილი. პირველი შემთხვევის მსგავსად, ისიც ცდილობს გადასახადების დამალვას.

ეს რაც შეეხება თეორიულ მხარეს. დღეს, პრაქტიკულად ყველა ტურისტული ობიექტი დაკავებულია აფხაზეთიდან და ცხინვალის დეზინფორმაციის მოსახლეობის მიერ. ასეთ პირობებში ტურიზმის, როგორც დარგის გლობალურ განვითარებაზე საუბარი არ შეიძლება. სახელმწიფომ სწორედ აქ უნდა მიიღოს მონაწილეობა. კერძო სტრუქტურებს ხელისუფლება უნდა დაეხმაროს უცხოური ინვესტიციის მოძებნაში, ან თუ საშუალება იქნება (რაც ნაკლებდასაჯერებელია) გამოიძებნოს რესურსები შედევითიანი მიზნობრივი დაკრედიტებისთვის.

უმნიშვნელოვანესი ტურისტული ობიექტებიდან საჭიროა მოხდეს დეზინფორმაციის გაფანა (რა თქმა უნდა, სხვა დასაბინავებელის გამოჩენის შემთხვევაში) და სარემონტო სამუშაოების ჩატარება. ეს ეკონომიკურად უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე ახალი სასტუმრო კომპლექსების მშენებლობა.

გარდა ამისა, სახელმწიფო ყველანაირად უნდა შეეცადოს საქართველოს საზღვარგარეთ წარმოადგინოს როგორც საკურორტო მხარეების მქონე ქვეყანა. ტურიზმის დეპარტამენტმა სწორედ უნდა მოაწიოს შეხვედრები კერძო ტურისტული ფირმების წარმომადგენლებთან.

მნიშვნელობა უნდა მიეცეს კადრების მომზადებასაც. დაუშვებელია საბჭოთა წესებით მომზადებული გიდი მოვალეობის გულითის საუბრობდეს სვეტიცხოვლის ან ჯვრის მონასტრის ისტორიულობასა და მნიშვნელობაზე. მოკლედ, ფინანსური და მორალური თვალსაზრისით უნდა მოხდეს დარგის რეაბილიტაცია, რაც მომავალში საკმაოდ დიდ მოგებასთან იქნება დაკავშირებული.

**გიორგი ბოჭორიშვილი**

# მსოფლიო ბანკს თავისი პირობები აქვს

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეკონომიკური რეფორმების პროცესში მსოფლიო ფინანსური ორგანიზაციების დახმარება უპირველეს ყოვლისა, ქონების განსახელმწიფოებრიობას ემსახურება. ამასთან, პრივატიზება იზიდავს უცხოურ კაპიტალს, რამდენადაც საზღვარგარეთული წრეებისათვის ინვესტიციების ჩადება გაცილებით ხელსაყრელია კერძო საწარმოებში, უფრო ზუსტად, არასახელმწიფო სტრუქტურაში.

ამდენად, დღესთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ობიექტების საკონტროლო პაკეტების გაყიდვას, რომლისკენაც მსოფლიო ბანკის ყურადღება

არის მიპყრობილი. საუბარია სასურსათო საწარმოების პრივატიზაციაზე, ურომლისოდაც ძნელია მსოფლიო ბანკისაგან დამატებითი კრედიტების მიღება.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ამჟამად საქართველოში 6 წისქვილქარხნისა და პურპროდუქტების დამამზადებელი 10 ქარხნის საკონტროლო პაკეტების კონკურსის წესით გაყიდვა.

როგორც ჩვენი მკითხველისათვის არის ცნობილი, მეოთხე სპეციალიზებულ აუქციონზე გატანილია ქ ქუთაისის პურპროდუქტების 4 საწარმო.

მიღებულია აგრეთვე გადაწყვეტილება 6 წისქვილკომბინატის

საკონტროლო პაკეტების პრივატიზების თაობაზე. კერძოდ, ოზურგეთისა და ბორჯომის სააქციო საზოგადოებათა პაკეტები გასაყიდად გატანილია მეოთხე და მეხუთე აუქციონებზე. ამის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციები უკვე გამოქვეყნდა გაზეთ "მესაქუთარეში".

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 3 აპრილის ბრძანებულების (№252) და საქართველოს მთავრობის 1996 წლის 6 ნოემბრის ოქმის შესაბამისად გადაწყვეტილია ქუთაისის სააქციო საზოგადოება "წისქვილი", სააქციო საზოგადოება "კახეთის პურის", სააქციო საზოგადოება "მა-

რნეულის ელევატორის", გორის სააქციო საზოგადოება "ელიტას" საკონტროლო პაკეტების ინვესტიციებისათვის მიყიდვა. შემოსვენებული დადგენილებების საფუძველზე ასეთი გადაწყვეტილება ერთობლივად მიიღეს სახელმწიფო ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროებმა.

უფრო კონკრეტულად "წისქვილს" საქართველოს პურპროდუქტების კორპორაცია შეისყიდის, "კახეთის პურს" - სააქციო საზოგადოება "ვაჩანაძის", "მარნეულის ელევატორს" - სააქციო საზოგადოება "აგროინვესტი", ხოლო "ელიტას" -

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ბოტეკლასიკა". განსაზღვრულია აქციათა პაკეტების გამოსყიდვის ვადებიც: 1996 წლის 20 ნოემბრამდე - აქციათა 4 პროცენტის, 1997 წლის 1 აპრილამდე ღირებულების არანაკლებ 26 პროცენტი, 1997 წლის 1 სექტემბრამდე - 35 პროცენტი, ხოლო 31 დეკემბრამდე დარჩენილი 35 პროცენტის დაფარვა.

პურპროდუქტების საწარმოთა პრივატიზების შედეგად უნდა გაიზარდოს კონკურენცია, რაც თავისთავად ცხადია, გააუმჯობესებს მომარაგებას, აამაღლებს ხარისხს და რაც მთავარია, უზრუნველყოფს ინვესტიციების მოზიდვას, რასაც მსოფლიო ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს.

თვითმმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტთან არსებულმა საზღვაო ქვეკომიტეტმა შეიმუშავა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი - საქართველოს საზღვაო კოდექსი. იგი საზღვაო საკითხებში საქართველოს კონსტიტუციის ტოლფასი და წარმოადგენს აქტს, რომლის შესაბამისობაშიც მოყვანილი იქნება საზღვაო კანონმდებლობა.

საზღვაო კოდექსი არის თვითმმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტის მიერ შემუშავებული ერთ-ერთი პირველი კანონი და მისი მიღება 19 ნოემბერს მოხდა, ხოლო 28 ნოემბერს დაგეგმილი კოდექსის მუხლობრივი განხილვა პარლამენტში არსებობს მოსაზრება, რომ თავისი მნიშვნელობის გამო აღნიშნული დოკუმენტის მიღება რამდენიმე კვირის განმავლობაში გაგრძელდება. კომიტეტის წევრები თვლიან, რომ საქართველო პირიქით, მოითხოვს კოდექსის რაც შეიძლება მალე ამოქმედებას, ვინაიდან მასზე მოთხოვნილება საკმაოდ დიდია.

19 ნოემბერს პარლამენტის სესიაზე საქართველოს საზღვაო კოდექსის პროექტი წარმოადგინა საზღვაო ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ ბატონმა პეტრე ბერაიამ.

საზღვაო ტრანსპორტის როლი დღევანდელ საქართველოში მნიშვნელოვანია, ჩვენი ქვეყნის ფლოტი და ნავსადგურები ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის საჭირო აუცილებლობაა. რეალურად მოქმედ საზღვაო სისტემას, აგრეთვე გადამწყვეტი პოლიტიკური წინსვლა შეუძლია უზრუნველყოს განსაკუთრებით

## “საზღვაო კოდექსის“ მიღება ეკონომიკური კავშირების განვითარებას შეუწყობს ხელს

დიდია მისი წილი ევროპა-აზიის დერეფნის პროექტში, ეგრეთწოდებული, დასავლეთის მიმართულების ნავთობსადენის მშენებლობის და შესაბამისი ინფრასტრუქტურისა თუ საკომუნიკაციო ქსელების შექმნასა და ჩამოყალიბებაში.

საქართველოს საზღვაო კოდექსმა ხელი უნდა შეუწყოს შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკურ თანამშრომლობას როგორც საზღვაო საკითხების, ისე საერთოდ, სატრანსპორტო კვანძის მუშაობის ეფექტიანობის საკითხში.


უნდა აღინიშნოს, რომ ყველა საზღვაო ქვეყანას გააჩნია ანალოგიური კანონი, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს ინგლისის საზღვაო საკანონმდებლო ბაზა.

საზღვაო კოდექსის ყველა თავი შემუშავებულია საერთაშორისო კონვენციების, გაეროს ევროპის კავშირის და ინგლისის სამართლის დებულებათა გათვალისწინებით. მისი მიღება საერთაშორისო სახელმწიფო საზღვაო პროგრამის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იქნება. მითუმეტეს, რომ საქართველო 1993 წლის იანვრიდან საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის წევრია. მას შემდეგ ის საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის 22, ხოლო გაეროს 8 კონვენციას შეუერთდა.

საქართველოს საზღვაო კოდექსის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საზღვაო დეპარ-

ტამენტის უფროსი ბ-ნი ბ. ვარშანიძე, მისი პირველი მოადგილე ბ-ნი ს. სურმანიძე, დეპარტამენტის

ბა განსაკუთრებით აღსანიშნავია იმით, რომ ანალოგიური კოდექსის მიღება პირველად ხდება ჩვენს ქვეყანაში, ის



ული საქმიანობისა და საგარეო კავშირების სამსახური, მისი უფროსის ბ-ნი პ. იმნაშვილის ხელმძღვანელობით. საზღვაო კოდექსის შემუშავე-

საფუძვლად უნდა დაედოს საზღვაო სახელმწიფოთა ერთიანი მართვის ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, რაც ალბათ, მომავალში გადამწყვეტ როლს

შეასრულებს ევროპის სატრანსპორტო დერეფნის გაყვანისა და მისი სრულად ამოქმედების საქმეში, ე.წ. აბრეშუქის დიდი მაგისტრალურ გზის აღდგენაში, თუ მნიშვნელოვანი უდიდეს ინტერესს იჩენს მრავალი სახელმწიფო და უზარებულეს ყოვლისა ევროკავშირი, მსოფლიო და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბაზაებში.

საზღვაო კოდექსში ცალკეა გამოყოფილი მუხლი, იმასთან დაკავშირებით, რომ ნავსადგურები შეიძლება გადაიტენ საჯილო კომერციულ, დამოუკიდებელ საწარმოებად, მაგრამ სახელმწიფომ უნდა შეინარჩუნოს კონტროლი აღნიშნულ საკითხებზე. აქედან გამომდინარე, კოდექსში შეტანილია სპეციალური თავი, რომლის მიხედვითაც პორტის კაპიტანი და მისი სამსახური ემორჩილება სახელმწიფო საზღვაო ადმინისტრაციას საზღვაო დეპარტამენტის სახით, რითაც დატულია სახელმწიფო კონტროლი ნავსადგურებისადმი.

თვითმმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტიდან საზღვაო კოდექსის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები იყვნენ ბატონები თენგიზ გოჭაძე და დავით გვერცხაძე, რომლებმაც უშუალოდ მიიღეს მონაწილეობა მის განხილვაში.

და ბოლოს. ასეთი მნიშვნელობის საკანონმდებლო აქტის მიღება, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მითუმეტეს თუ "საზღვაო ქვეყანას" არა ერთი, არამედ ორი პორტი გააჩნია.

### კოტე ვეროკე

## ანდორის «ქალღა» და ჩვენი გულისტკივილი

აწლორა პატარა ქვეყანაა-თქო, ეს შემართება რომ გავიგეოროთ, ამით თითქმის ვერაფერს ვეტივით მკითხველს. მთელ ამ ქვეყანას სულ პირველებში ორადორი მთის ხეობა უკავია. მთელ ქვეყანას სერავს გზა, რომლის ერთი ბოლო საფრანგეთს ებჯინება, მეორე კი - ესპანეთს.

ანდორელებს მთის ფერდობების გარდა სხვა არაფერი გააჩნიათ რაიმე შემოსავლის მისაღებად და თავის სარჩენად. და აი, ამ ბუნებრივ სიმდიდრეს თავიდან ბოლომდე, სრულად იყენებენ. აქ ვერ შეხვდებით ვერც ერთი მთის ყალთას, სადაც სამთო-სათხილამურო ტრასა არ იყოს გაყვანილი. ზამთრისობით აქ იმდენი ტურისტი ჩამოდის, რომ რიცხობრივად ორჯერ აღემატება მკვიდრ მოსახლეობას. ყოველივე ამასთან, ესე იგი, ბუნებრივ პირობებთან და გარემოსთან დაკავშირებით წლების განმავლობაში ანდორელების ცხოვრება, შეიძლება ითქვას, რომ სეზონური ხასიათისა იყო. თოვს დაიწყებოდა თუ არა, ყველაფერი ცოცხლდებოდა, იხსნებოდა ზაფხულში დარაბებდახურული რესტორნები, გასართობი ცენტრები. მაგრამ ბოლოსდაბოლოს ანდორელებს მოსწყობდათ სეზონური ცხოვრება და მიინდომეს ზამთრის ბედნიერების გახანგრძლივება... ხელოვნური თოვლით, მერე ეგზოტიკის მოყვარულთათვის სპორტის ახალი სახეობაც - საზაფხულო თხილამურებზე სრიალი - გამოიგონეს. ფანტიკოსები სპეციალური ბორბლებიანი მარხილებით ხალისით ეშვებოდნენ, ბალახით ამწყვანებულ მთის ფერდობებზე. ისეთი მანქანებიც ჰქონდათ, ბოსნიური მიმდევრები რომ ხმარობენ. მთელი ეშვი ისაა, რომ ამ მანქანებს მუხრუჭი არა აქვს და ყველაფერი აღმანის რეაქციისა და საჭის მართვის სიმარჯვეზეა დამოკიდებული.

მთა ზაფხულისათვის კიდევ ერთი გასართობი მოიგონეს - სახელად ზარანჯიში. ეს გახლავთ თავისებური სპორტი. საკმაოდ რთული და დიდ რისკთან დაკავშირებული. მძაფრი ემოციების მოყვარულნი ადიან კლდეებზე,

რომელზეც ჩანჩქერი ჩამოედინება, ერთი სიტყვით, ჩანჩქერს ალმა აუყვებოდა ხოლმე (არ შეიძლება ჩვენებური კალმახი არ გაიხსენოს ადამიანმა).

სულ ახლახანს ანდორის დედაქალაქში ააგეს წყლის თამაშობა-გართობათა ცენტრი "ქალღა". ეს შენობა კოსმოსური ტექნოლოგიის გამოყენებით აიგო და თანამედროვე არქიტექტურის ნამდვილი საოცრებაა. ქალაქის ძველ საცხოვრებელ სახლებს შორის ცალ ატყორცნილი ეს სარკისებრი პრიზმა მართლაც რომ უცხოპლანეტურ ხომალდს წაგავს. მაგრამ მთავარი "აღმოჩენები" და სასიამოვნო სიურპრიზები ტურისტს შიგნით ელოდება. "ქალღა" მუშაობს პრინციპით: "გადახილია". მაგნიტური ბარათის მსგავს შესასვლელ ბილეთს რომ

ბი ტროპიკულ მზეს ეჯიბრებიანო, ისე გაირუჯებით.

მერე და ასეთი რა ქვეყანა ყოფილა ეს პატარა ანდორა, რომ მასზე ლაპარაკით ლამის არის თავიც მოგვაბეზრეთო - შეიძლება ფიქროს მკითხველმა. მაგრამ გამგები გაგვიგებს. ჩვენ ჩვენი გულისტკივილი გვალაპარაკებს.

ჩვენი დალოცვილი ქვეყნის, ჩვენი ნაირგვარი ბუნების მოუხმარებლობა გვალაპარაკებს. განა ჩვენ დაგვირდება ხელოვნური თოვლის თუ ხელოვნური მზის გამოგონება. ჩვენს დალოცვილ მხარეში ხომ ყველაფერი უხვადაა. ყველაფერი - ბუნებრივი, ღვით ბოძებული - მზეც, თოვლიც, ყინვაც, სიციხეც, თოვლიანი მთის კალთებიცა და თითქმის ტროპიკული - სუბტროპიკული



მოგცემენ, მერე მთელი "ქალღა" თქვენს სამსახურშია. აქ ათასნაირი საწყალონო ატრაქციონია, არის სამკურნალო აბაზანებიც სპეციალური მასაჟერებით. "ქალღას" სხვაგვარად "წყლის სამოთხესაც" უწოდებენ, და არც ტყუილად. აქ თავმოყრილია რეალაქაციისა და სიამოვნებისათვის საჭირო ყველა მოწყობილობა და სისტემა. ერთ მხარეს სულ აბანოებია. თვენი ნება რომელს ამოირჩევთ - თურქულ ჰამამს თუ ფინურ საუნას, ბოლოს უზარმაზარ ფიტნესცენტრში, იფიქრებთ სპეციალური ნათურე-

მხარეც. რომელი ერთი ჩამოვაყოლოთ. განა ბუნებრივი, თანაც სპეციალური წყლები გვაქვია? ან ჩანჩქერები? ან მთის დასალაშქრი მწვერვალები? ან ზღვა? ან მზე? მაშ რაღას ვუცდით, სულ რამდენიმე წუთად რომ არ უნდა დავიწვინოთ, სულ ოცნებაში ხომ ვართ უნდა ვიფარფატოთ, როდის გავახლოდეთ თვალს, როდის შევხვდეთ ცხოვრებას? რეალურად, როდის შევფასებთ? ჩვენს განძს, როდის გამოვიყენებთ მას ისე, როგორც ჯერ არს? როდის?

### ვიალა მებრევილი

19 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის შენობაში თვითმმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტმა ბატონ თამაზ ბოლქვაძის თავმჯდომარეობით ჩატარა საკომიტეტო მოსმენა, რომელზედაც მოსმენებებით გამოვიდნენ თბილისის მერიის წარმომადგენლები. საკომიტეტო მოსმენის თემა იყო ბიუჯეტის განხილვა.

სიტყვა თბილისის მერიის სა-

ლარს შეადგენს. აქედან მსხვილი გადამხდლებების დავალიანებაა 5 მლნ ლარი, ხოლო თვით მერიის დამატებითი ვალდებულებების ხარჯი 5 მლნ ლარი. ეს რაც შეეხება მერიის ბიუჯეტს, ხოლო ქვეყნის მასშტაბით ცენტრალურ ბიუჯეტში გათვალისწინებული გადასახადი ქალაქის მერიამ საგადასახადო ინსტრუქციის შემოვლით სრულად დაფარა.

ბატონმა ამირანმა, აგრეთვე,

## მერია ბიუჯეტის გაზრდას ითხოვს

ფინანსო სამმართველოს უფროსმა ბატონმა ამირან ჯებირაშვილმა აიღო და უშუალოდ შეეხო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის საკითხს. როგორც აღინიშნა, 1991-92 წლებში საქართველოში მომხდარი მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის მერიის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 1,5 მლნ ლარი, ხოლო გამოიყო 5 მლნ ლარი, რაც 3,5 მლნ-ით აჭარბებს დაგეგმილს. რაც შეეხება თბილისის მეტროპოლიტენის საბურთალოს ხაზის მშენებლობას, პარლამენტის მიერ 1996 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული 2 მლნ ლარის ნაცვლად, მერიამ 4 მლნ ლარი გაიღო. ბატონმა ამირანმა, ზაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მერიამ ბიუჯეტში დამატული 76 მლნ ლარის ოდენობით, სადაც ღვით აღმაშენებლის ძეგლის მშენებლობასთან დაკავშირებული ხარჯებიც შედიოდა, რაც 4 მლნ ლარით შემოიფარგლებოდა, მაგრამ დღევანდელი კრიზისული მდგომარეობის გამო, ეს თანხა მოიხსენა და ამიტომ მერიის ბიუჯეტში 72 მლნ ლარი დარჩა.

მერიის საფინანსო სამმართველოს უფროსმა ასევე ისაუბრა დასახული გეგმების შესრულებლობის შესახებაც, რაც მერიის ბიუჯეტის მიხედვით 10 მლნ

და ბოლოს, დავამატებდი, რომ მოთხოვნა მოთხოვნად რჩება, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა მაინც პარლამენტს ეკუთვნის და ალბათ, უახლოეს მომავალში გადამხდება, მიიღებს თუ არა მერია ამ სახსრებს.

### ლუღუ ზოიკე

### ინფორმაცია

## მსოფლიოს ირგვლივ

### იყიდება საბადო

რუსეთის საინფორმაციო წყაროების ცნობით, გაკორტების გამო საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით იყიდება სააქციო საზოგადოება "ბერეზოვსკი რუნდნიკი" (სვერდლოვსკის ოლქი). ამასთან, ოლქის პროკურატურა მოსკოვის კომპანია "მიკროდინისგან" მოითხოვს აქციათა 78 პროცენტზე უარის თქმას, აგრეთვე მალარიის განვითარებისათვის ფედერალური ბიუჯეტისაგან მიღებული 3,5 მილიონი დოლარის დაბრუნებას.

## მთავრობა დეფიციტურ ბიუჯეტზე ფიქრობს

სლოვაკეთის მთავრობამ დაამტკიცა 1997 წლის ბიუჯეტი. საცალო ეროვნული პროდუქციის ზრდა შეადგენს 6 პროცენტს, ინფლაცია - 6 პროცენტს, უმუშევრობის დონე - 11 პროცენტს.

ნაგარაუდლო ბიუჯეტში 170 მილიარდი სლოვაკური კრონის შემოსვლა, გასავალი კი იქნება 206,9 მილიარდი. ასე რომ, ბიუჯეტში გათვალისწინებულია თითქმის 37 მილიარდი კრონის დეფიციტი.

## მოლაპარაკება ბრძოლაში

ტაივანი მოლაპარაკებას აწარმოებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან იმ პირობების დასახულებლად, რომელთა შესრულების შემდეგ შესაძლებელი გახდება ტაივანის მიღება მსოფლიო საავტორო ორგანიზაციაში, რასაც უცილობლად სჭირდება ამერიკის მხარდაჭერა. განსაკუთრებული განსჯის საგანია სპირტიანი სასმელებისა და სიგარეტის იმპორტი. ტაივანის საავტორო პარტნიორები თვლიან, რომ ეს ქვეყანა ნელა ახორციელებს ალკოჰოლურ ნაწარმსა და თამბაქოზე სახელმწიფო დემონოპოლიზაციას. ამასთან, ორგანიზაციაში ტაივანის მიღებას ეწინააღმდეგება ჩინეთი, რომელიც თავად ცდილობს საავტორო კავშირში გაერთიანებას.

## პრემია პირველად მიენიჭა უცხოელს

ამერიკის ენერგეტიკული ტექნიკის მწარმოებელთა ეროვნული ასოციაციის შეკრებაზე, რომელიც ჩიკაგოში ჩატარდა, ბერნარდ ფოლკის პრემია მიენიჭა კომპანია "ასეა ბრაუნ ბოვარის" თავმჯდომარესა და აღმასრულებელ დირექტორს პერსი ბარნევიკს. ეს ამ პრესტიჟული პრემიის უცხოელისათვის მინიჭების პირველი შემთხვევაა.

## ლიუბტანსა იყიდება

გერმანიის მთავრობამ დადასტურა თავისი განზრახვა გა-

## ინფორმაცია

ასე რომ, გვირდებიან - შარშანდღის შედარებით, წლებადღელ ზამთარს უკეთესად გადავიტანო, მთ უფრო, თუ ბუნებრივი აირი შეგვეშველაო. სასიამოვნო დაპირებაა, რეალურად კი...

საქართველოში ერთადერთი პროდუქტი - ელექტროენერგია, რომელზედაც საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულთა ხელფასების მიხედვით მსჯელობენ.

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დღევანდელი მძიმე მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად საბჭოთა პერიოდის ბოლო ათწლეულებიდან იღებს სათავეს, რაც ამ სფეროში გატარებული არასწორი პოლიტიკის შედეგია.

სიმბოლურ ფასებში ნავთობ-პროდუქტებისა და ბუნებრივი აირის მასშტაბურ მიწოდებას არ შეეძლო რესპუბლიკაში არ ჩამოეყალიბებინა ენერგოგამფლანგველი ინფრასტრუქტურა, რის შედეგადაც საქართველოში ეროვნული პროდუქტის ერთეულზე ენერგორესურსების ხარჯმა 80-იან წლებში განვითარებული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს 3-4-ჯერ გადააჭარბა.

საკუთარი რესურსების მიმართ უყარათო, მტაცებლურმა მიდგომამ, რაც საბჭოთა პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი, საქართველოში არსებული საბადოების არარაციონალური ექსპლოატაცია განაპირობა და კრიზისის ეტაპს საქართველო ძალზე მოუმზადებელი შესვლა.

გარდა ამისა, ბოლო პერიოდის მოვლენათა განვითარებამ, რამაც საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გააუარესა - შიდა კონფლიქტებმა, სახელმწიფო სტრუქტურების მოშლამ და ტრადიციული რესპუბლიკათმორისი სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების რღვევამ, ეკონომიკური კრიზისი კიდევ უფრო გააღრმავა და მასშტაბური საგარეო ვალების დაგროვება გამოიწვია. სანაცვლოდ კი, მოვალე სახელმწიფოებმა, სრულიად კანონიერად, საქართველოს უძრავი ქონების ნაწილზე პრეტენზია შეიძლება განაცხადონ.


ენერგოსისტემის ფუნქციონირების არსებული რეჟიმის შემდგომი გაგრძელება ყოველად დაუშვებელი იყო და დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა გადაუდებელ და საგანგებო ღონისძიებათა გატარება, მთელი დარგის რეორგანიზაცია, არსებული სისტემის რესტრუქტურირება, რამაც წამყვანი როლი ახლადშექმნილმა კორპორაციამ უნდა შეასრულოს, საერთაშორისო ტექნიკური და ფინანსური დახმარების ხელშეწყობით, რადგან დღესდღეობით ინვესტიციები - ეკონომიკის განვითარებისა და გაჯანსაღების ერთადერთი საშუალებაა.

სათბობ-ენერგეტიკის კორპორაცია 1995 წლის ბოლოს შეიქმნა, მან გაერთიანა რამდენიმე დეპარტამენტი - საქენერგო, საქგაზი, საქნახშირი, საქნავთობი და პოლდინგური კომპანია საქნავთობპროდუქტები.

კერძოდ, დეპარტამენტი "საქენერგო", რომელიც პასუხისმგებელია რესპუბლიკაში ელექტროენერგიის გამოშვებაზე, გადაცემასა და განაწილებაზე, დაყოფილია სამ ნაწილად:

1. ენერგოკომპანია "საქენერგო გენერაცია", რომელიც ელექტროსადგურების ტექნიკურ მდგომარეობას განსაზღვრავს;
2. ენერგოკომპანია "საქენერგო", რომლის ფუნქციებშიც შევიდა ენერგის გადაცემა და ენერგოსისტემების ოპერატიული მართვა;
3. ადგილობრივი მუნიციპალური საწარმოები (ქსელები გადაეცა მუნიციპალიტეტებს და გამგებებს), რომელთა მოვალეობაა დაბალი ძაბვის ქსელების მომსახურება და ელექტროენერგიის რეალიზაცია.

# ელექტროენერგია - სტრატეგიული რესურსი



თავი და თავი პრობლემებისა, რაც ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროში შეიჩნევა - უსახსრობაა.

ფინანსური პრობლემებით იწყება საუბარს ყველა მომხსენებელი პარლამენტის სხდომაზე, რომელიც დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში გაიმართა და ძირითადად ენერგოსისტემის დღევანდელ რეალურ მდგომარეობასა და მიმდინარე 1996-97 წლების ზამთრის სეზონისთვის ჩატარებულ სამუშაოებს შეეხო.

სხდომა საინტერესოდ და რაც მთავარია, იმედინი განწყობილებით წარიმართა.

"საქენერგოს" დღევანდელი მდგომარეობა დამსწრეთა გააცნო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ბორის კოფორიძემ.

ელექტროენერგიას უფასოდ არავინ მოგვაწვდის, აუცილებელია მომხმარებელმა გააცნობიეროს შექმნილი ვითარება და კეთილსინდისიერად გადაიხადოს ელექტროენერგიის საფასური.

წლების განმავლობაში, ჩვენ ფაქტურად უფასოდ ვიძლეოდით ელექტროენერგიას, თითქოს მასზე იაფი გათბობისა და განათების საშუალება არაფერია, მაშინ, როდესაც ელექტროენერგიის წარმოება სახელმწიფოს ძალზე ძვირი უჯდება და ეს უკანასკნელი არანაკლებ ძვირია, ვიდრე გაზი, ნავთი და სხვა.

ამასთან, ზამთრის პერიოდში, მდინარეებში წყლის კლებასთან დაკავშირებით ჰესების სიმძლავრე საგრძობლად შემცირდა, რაც საკმარისი არ არის ქვეყნის სასიცოცხლო ობიექტებისა და საწარმოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის, რისთვისაც შემოვიღეთ მკაცრი გრაფიკული რეჟიმი.

დღე-ღამეში რესპუბლიკა 20-22 მლნ კვტსთ ელექტროენერგიას მოიხმარს, გრაფიკის პირობებში თბილისი ზაფხულში 5-5,5 მლნ კვტსთ ელექტროენერგიას, ზამთარში კი - 6,5-7 მლნ კვტსთ ელექტროენერგიას ხარჯავს, რაც წინა წლების მაჩვენებლებთან შედარებით მნიშვნელოვნად მცირეა. მაშინ, როდესაც თბილისი ზაფხულში 8 მლნ კვტსთ ელექტროენერგიას ხარჯავდა, ზამთარში კი - 11,5-12 მლნ კვტსთ ელექტროენერგიას, და აქედან მთელი წარმოებული და მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის დაახლოებით 70% წარმოება-დაწესებულებებზე მოდიოდა, მოსახლეობა კი სიმბოლურ თანხას იხდიდა. ამჟამად სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. რადგან წარმოების მოცულობა მკვეთრად დაეცა, დღეს ელექტროენერგიის ყველაზე დიდი მომხმარებელი მოსახლეობაა და მასზე მოდის მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის მნიშვნელოვანი წილი. ამდენად, ოპტიმალური გამოსავალი უნდა ვეძებო!

პრობლემას არ შეუქმნით მას, ვინც ფულს გადაიხდის! - ეს სიტყვები ლაიტმოტივად გასდევდა მთელ სხდომას.

მოსახლეობიდან ელექტროენერგიის გადასახადების ამოღების თაობაზე ისევ მკაცრი ტონით ილაპარაკა თელასის წარმომადგენელმა აკაკი გაბრიძემ.

ექსპერიმენტის სახით შემოღებული დისტრიბუტორთა ინსტიტუტი უკეთეს შედეგებს გვიჩვენებს. გადასახადების ამკრფ-დისტრიბუტორებმა რომლებიც ბევრისთვის არასასიამოვნო სტუმარია, მაინც შეძლეს მთლიანი თანხის მეტი წილის ამოღება.

თბილისის გრაფიკით მიეწოდება ელექტროენერგია დღის 8 სთ-დან 10 სთ-მდე და საღამოს 8 სთ-დან 12 სთ-მდე. ამ მხრივ, რეგიონებთან შედარებით, თბილისში დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. რეგიონებს კი ძალიან უჭირთ, ვერც გრაფიკის დაცვა ხერხდება.

რაც შეეხება მე-3, მე-4, მე-8, მე-9 ენერგობლოკებს, ისინი უკვე მზადყოფნაშია, მაგრამ ამჯერად საწვავის პრობლემაა.

ამრიგად, თელასის ფუნქციონირება სახეზეა - რეიდების დროს თვითნებური ჩართვის ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა - კმაყოფილებით აღნიშნა თელასის წარმომადგენელმა.

ჩვენ საშუალება გვაქვს ყველა მსურველს, ვინც გაზის საფასურს გადაიხდის, მივაწოდოთ ბუნებრივი აირი (როგორც წარმოება-დაწესებულებებს, ასევე მოსახლეობას), - განაცხადა დეპარტამენტ "საქგაზის" პასუხისმგებელმა პირმა დავით ელიაშვილმა.

რესპუბლიკაში სულ 6,5 მლნ კუბ.მ. გაზი შემოდის, აქედან 3,5 მლნ კუბ.მ. მიდის სომხეთში, დანარჩენი კი ხმარდება რესპუბლიკას (მეტწილად რუსთავის, გორის, ხაშურის, ვარდბანის, კახეთის ზოგიერთ რეგიონს). თბილისში - 3000 ოჯახი და 55 საწარმო სარგებლობს ბუნებრივი აირით, თვის ბოლოსათვის ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება, გაზის გაშვების მხრივ ძალზე სიფრთხილეა საჭირო, რადგან ქსელები ამორტირებულია და სერიოზულ შეკეთებას საჭიროებს. განსაკუთრებული აქცენტი თბილისის გარეუბნებზე, მასივებზე გაკეთდა, რომლებიც ელექტროენერგიის განსაკუთრებით მწვავე დეფიციტს განიცდიდნენ.

თბილისის გაზი უთუოდ მიეწოდება, თუ მოსახლეობა თვის განმავლობაში სულზე 4 ლარსა და 53 თეთრს გადაიხდის. გაზის მრი-

ცხველების დაყენების შემთხვევაში ეს პროცესი დარეგულირდება და ხარჯული აირის საფასურის მიხედვით, თუმცა ამ ქონზე მნიშვნელოვანი წარინხისა და რაოდენობის პრობლემაც არსებობს (საიდან, როგორ, რა ფასებში შემოიტანონ). მართალია, გაზომარაგების კეთილდღეობა არ არის დამოკიდებული მრიცხველების რაოდენობაზე, ეს უფრო სერივის საქმეა, მაგრამ, როცა არ არის კონტროლი, ხარჯიც მეტი და გაფლანგვის შემთხვევებიც.

ამდენად, დარგი განიცდის არა საწარმოო, არამედ მწვავე ფინანსურ კრიზისს. ელექტროენერგია არის სტრატეგიული რესურსი და აუცილებელია მისი მომჭირნობით ხარჯვა. ეს უნდა გაათვითცნობიეროს მოსახლეობამ და უფრო ცივილიზებულად უნდა მიუდგეს ამ საქმეს.

რეალურად კი, მოსახლეობას გაცილებით ძვირი უჯდება ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობა (მწყობრიდან გამოსული ელექტრომწყობილობების ზარალის მიღებითა თუ არაფორმალურ არსებში დიდი სახსრების გაღებით, რაც გულისხმობს მრიცხველების გვერდის ავლით ჩართული მძლავრი გამბობი და წყალგამაცხელებელი აპარატურების, დისტრიბუტორების მოსცილების, გადამწვარი კაბელებისა თუ ტრანსფორმატორების შეცვლისთვის დახარჯულ სოლიდურ თანხებს), ვიდრე მისი რეგულარული გადახდა.

არსებობს რეგულაციური იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის რიგ მოქალაქეთა უმრავლესობას, შეგნებული არჩევანის საშუალების შემთხვევაში, ენერგეტიკაში გრანდიოზული საგარეო ვალების დაგროვებით საქართველოს უძრავი ქონების გასხლეჩება, მწყობრიდან გამოსული მოწყობილობების სახით ზარალის მიღება და არალეგალურ არსებში დიდი სახსრების გაღება (რაც ახლა ყოველდღიური რეალობაა), გადასახადების წესიერ გადახდას აძვობინებს.

გასათვალისწინებელია, აგრეთვე, ის გარემოებაც, რომ საქართველოს მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობას, საბიუჯეტო სახსრებისა და პუბლიკური დანხარების გარდა, ოფიციალური სტატისტიკის მიღმა დარჩენილი კომერციული საქმიანობის შემოსავლები და ქვეყნის გარეთ გასული მრავალი დროებითი ემიგრანტის გადმოგზავნილი თანხებიც უზრუნველყოფს, რასაც შესაბამისი კორექტივი შეეპყოს მოსახლეობის გადახდისუნარიანობაში. აქედან გამომდინარე, თუ საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულთა ხელფასების დონეს მოსახლეობის ფიზიკური არსებობის შეუძლებლობის დასამტკიცებლად არ ვიყენებთ (რის სრულ საფუძველსაც ეს დონე იძლეობს), მას არც მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მიერ ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის უუნარობის დასაბუთებად უნდა ვიყენებდეთ.

მიუხედავად იმეებისა, სხდომიდან მაინც პროზაული განწყობილებით დაგბრუნდი... ქვეყანაში, სადაც სოციალურად დაუცველი ფენა უძრავ-ვლესობა (არავითარი ოფიციალური სტატისტიკა მათ შესახებ არ არსებობს) და უხელფასო მოსახლეობა არა კი არა, ვერ იხდის ვერანაირ გადასახადს (ასეთი გადახდისუუნარო იგი არასოდეს ყოფილა - დვითის წყალობით ბოძებული ზვალინდელი პურის ფულის იმედით), სახელმწიფომ უნდა იპოვოს გამოსავალი.

საოცარია, თითქოს ბუნებაც ხელს გვიწყობს... შემოდგომა გავვიხანგრძლივდა - დღისით თბილა, საღამოთი კი გრაფიკით დაპირებული შუქის იმედი გვაქვს და მაინც... ბნელი და ცივი ზამთრის შიშისაგან თავი ვერ დამიხსნია.

### ადოლფ ჰიტლერის შვიცარული ანგარიში

ადოლფ ჰიტლერს რამდენიმე პირადი ანგარიში ჰქონია გახსნილი შვიცარული უდიდესი ფინანსური ინსტიტუტის ბანკის განყოფილებაში. მას განაგებდა გერმანელი ოფიცერი მაქს ადანი.

ჟენევაში, ლოზანში, ბაზელში, ციურიხში, ლავოსში საკუთარი ნომრები ანგარიშები ჰქონდათ გახსნილი რიბენტროპს, გერინგს, პაპენსა და მესამე რეიხის სხვა მეთაურებს, აგრეთვე გერმანელ დიპლომატებსა და მეწარმეებს, რომლებმაც კოლონიალური ჯიშის მონაპოვეს ომის წლებში სხვადასხვა მაქინაციებით. ამ ნეიტრალურ ქვეყანაში გზავნიდნენ თავიანთ "დანაშაულებს" რანგით უფრო დაბლა მდგომი სხვა ნაციონლებიც. ეს ცნობები გამოაქვეყნა ფრანგულმა გაზეთმა "ფიგარო", რომელიც გაეცნო საარქივო მასალებს, კერძოდ, ამერიკულს. ეს მასალები აქამდე საიდუმლოდ იყო დაცული. დოკუმენტების თანახმად, მარტო ბაზელის 24 ბანკში გერმანელთა ანგარიშებზე ინახებოდა 114,5 მილიონი შვიცარული ფრანკი, ციურიხში კი სამჯერ მეტი.

ამერიკის სპეცსამსახურების მემორანდუმებში აღნიშნულია 27 შვიცარიელი ვიქტორის გვარები, რომლებიც ეხმარებოდნენ ფაშისტებს კონფისკაციით შეძენილი ქონების შენახვაში. საგარეო-პოლიტიკური უწყებების მეთაური რიბენტროპი 1941-1943 წლებში ბერლინიდან ფულს გზავნიდა ჟენევაში, სადაც მისი სანდო პირი - ვინმე ჰერტრუდა გასნერი, გერმანიის საკონსულოს ყოფილი თანამშრომელი, მას ადგილობრივ ბანკში ინახავდა, მან ასევე ინვესტიციები ჩალო სატრანსპორტო კომპანია "ნერურელში".

თავის მხრივ ფერწერის დიდი მოყვარული და "მემორანდუმები" გერმანული თავისი კაპიტალისათვის "ბუნდეს კანტორალ ბანკის" დავოსის განყოფილებას და ლოზანის "მასტლანდერს" ირჩევდა. ლოზანში ინახავდა თავის "გამოშუშავებულ" თანხებს ფიურერის ყოფილი მკერავი შვიცარიელი შერერიც.

### რეზინის ავტობუსი

ლიტვის ქალაქ კაუნასში სტუდენტებმა გადაწყვიტეს დაეღვინათ, რამდენ ადამიანს იტევს ერთი სტანდარტული საქალაქო ავტობუსი. პირველივე ცდამ გადასარევი შედეგი აჩვენა - ავტობუსში შეიჭვდა 278 ადამიანი. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მგზავრ სტუდენტებს შორის არც ერთი არ იყო ზედმეტად "ნაკვები".

### სჯობს არ დაიფყოთ

ამერიკაში ფილტვების დაავადების საკვლევი ცენტრის თანამშრომლები მივიდნენ არასასურველ დასკვნამდე - აშშ-ის "ერთ-გული" მწველების ნახევარზე მეტი ამ ჩვევას თვრამეტ წლამდე იძენს. და რაც ყველაზე უარესია, მწვევლთა ასაკი ახალგაზრდადება. უფროსები უფრო ითვისებენ თამბაქოს მაგნე თვისებებს, მაგრამ თინეიჯერები (ოც წლამდე ახალგაზრდები) ამას არაფრად მიიჩნევენ. მეცნიერებმა ჩატარეს ექსპერიმენტი - რვა კვირის განმავლობაში ოცი დიდი ხნის მწვევლი მოზარდი სწავლობდა ეგრეთ-წოდებულ "არამწველთა" კლასში, სადაც მათთვის ტერესო თემას განიხილავდნენ. "ცდის ობიექტებს" ძალზე სტრესულ სიტუაციებშიც თხოვდნენ არ მოეწიათ; არ მოეწიათ არც მაშინ, თუ მწვევლთა გვერდით მოხვდებოდნენ. მაგრამ მაინც, საცდელი კურსის ბოლოს ოციდან მხოლოდ და მხოლოდ ერთმა გოგონამ მიატოვა სიგარეტის წვევა. დანარჩენები ისევ ძველებურად აბოლებენ.

თექვსმეტი წლის ადამი, რომელიც დღემდე სამ კოლოფს ეწევა, ამბობს: "ბევრჯერ ვცადე თავი დამენებინა ამ ჩვევისათვის, ვიცი, რომ ზიანის მტკნარ ვერაფერს მომიტანს, მაგრამ ვერანაირად ვერ მოვახერხე. საბოლოოდ დაურწმუნდი, რომ ვერანაირად ვერ მივატოვებ".



### მაკარენა, მაკარენა!

ლაბადის ცეკვით დაღლილმა ახალგაზრდობამ სული ძლივს მოიტყუა, რომ იგი ახალმა ექსტრავაგანტულმა მაკარენამ შეცვალა. ეს ცეკვა 1993 წელს შეიქმნა ესპანეთში. მისი ავტორების ვინაობაც ცნობილია. ესენი გახლავთ ანტონიო რომერო და რაფაელ რუსი. ორივენი სევილიიდან არიან და მათი ლექტი Los del Rio-დ არის ცნობილი. ახალი ცეკვა უკვე ელვასავით მოედო მთელ მსოფლიოს. მას ყველგან ცეკვავენ. ცეკვის მუსიკა მეტად რიტმულია და თან ახლავს სრულიად მარტივი სასიმღერო ტექსტი. მაკარენა ლამაზადსაგან განსხვავებით მარტო იცეკვება, მისი შესრულება შეგიძლიათ ყველგან და ყოველთვის. ზოგი მას ქალთა ცეკვად მიიჩნევს, მაგრამ არც მამაკაცები ამბობენ უარს

### პ ა ნ ო რ ა მ ა

სახალისო რიტმსა და მოქნილ მოძრაობებზე მაგალითად, "ნიუ-იორკს იანკიზ"-ის ბეისბოლისტებმა თავიანთი "ფანებისათვის" (გულშემატკივრებისთვის) სპეციალური შოუ გამართეს და მთელი სტადიონიც ჩააბეს მაკარენას ცეკვაში.

### ხეები მკურნალობენ

ხალხს დიდი ხანია შენიშნული აქვს სხვადასხვა ხის სხვადასხვანაირი თვისებები. მაგალითად, კაკლის ხის ქვეშ ძილი სასარგებლოა, ასევე სიმშვიდის მომგვრელია ცაცხვის ჩრდილში დასვენება, მუხის დანახვაც კი თითქოს რაღაც ძალას მატებს ადამიანს. მართალია, სამეცნიერო მედიცინა დიდად არ წყალობს ხალხურს, მაგრამ ბოლო ხანებში ამ მხრივ გარკვეული ძვრა შეინიშნება. მეცნიერებმა მოილო მოწყალება და ცდების ჩატარებას მაინც დათანხმდა. უკვე გამოკვლეულია ხეების ზეგავლენა ადამიანის სისხლზე. ისიც ზომ დადგენილია, რომ ყოველ ხეს თავისი ბიოველი აქვს. ხისა და ადამიანის ბიოველთა ურთიერთქმედებას თავისი შედეგები მოსდევს - ზოგჯერ უარყოფითი და ზოგჯერ - დადებითი.

ნატუროპათები ამბობენ, რომ არსებობენ ხეები, რომლებიც თვითონ იწოვენ ენერჯის და არსებობენ ხეები, რომლებიც გაცემენ საკუთარ ძალას. და აი, ადამიანსაც სწორედ იმის მიხედვით უნდა აირჩიოს თავისი მკურნალი ხე, მოზღვავებული ენერჯია აქვს მას თუ პირიქით - მიღებული და სუსტი. ნატუროპათი ხეების გასარჩევად პრაქტიკულ რჩევასაც იძლევა: საჭიროა აიღოთ ფოლგის ნაჭერი (ვთქვათ, შოკოლადის ფილიდან) 10-15 სმ-ის სიგრძისა და 2,5 მილიმეტრის სიგანის; ერთ ბოლოში საჩვენებელი და ცერა თითი მოკიდოთ და მეორე ბოლო ამა თუ იმ ხეს მიუახლოვით. თუ ფოლგის მეორე ბოლო ხისკენ გადაიხრება, ეს ნიშნავს, რომ ხე ენერჯიას იზიდავს, იწოვს, თუ არა, მაშინ პირიქით - ხე ენერჯიას გასცემს. თქვენთვის, ბუნებრივია, ის ხე იქნება მკურნალი, რომელიც - თუ სისუსტეს იჩენთ - ენერჯიას გასცემს, და თუ ზედმეტი, მოჭარბებული ენერჯია გაქვთ - ის ხე, რომელიც ძალას იკრებს. შეგახსენებთ, რომ ხეებთან ურთიერთობაში ჩვენი და ხეების ბიოველები გვეხმარება.

### "ფიცარმა" მილიონები მიიღო

173 სმ სიმაღლის ოცდამეცხრე წლის ინგლისელი ტობ-მოდელი სულ 45 კილოგრამს იწონის, რის გამოც მას "ფიცარი" შეარქვეს. მსგავსი სენტენციები სულ არ აკრთობს ნისლიანი ალბინოს მკვიდრ ქელვინ კლიანს, რომელმაც მხოლოდ პოდუმიზე გამოჩენისათვის 1995 წელს 3,2 მლნ დოლარი, წელს კი უკვე - 4,7 მლნ დოლარი მიიღო.

### კომპარები

შეიძლება საშინელებათა ფილმს უყურეთ, ეგებ მეგობარს ეჩხუბეთ, ან იქნებ ხვალ გამოცდა გაქვთ ჩასაბარებელი? ყოველივე ამის გამო შესაძლოა ისეთი სიზმრები დაგეისხნოდეთ, რომ ცივმა ოფლმა დაგასხათ. არადა, უკვე მეცნიერულ დონეზე დადასტურებულია, რომ კომპარები ყოველთვის უკავშირდება თქვენი ცხოვრების რაიმე რეალურ მოვლენას - როგორც წარსულს, ისე მომავალს. მაგალითად, სიზმარში რაიმე სიმაღლიდან ჩამოვარდნა უფრო ხშირად ნიშნავს, რომ ისეთ სიტუაციაში მოხვდით, რომელსაც თავს ვერ აღწევთ, ან რაღაც ისეთი საშუალო აიღეთ, რომ არ იცით, როგორ და რანაირად დაიწყეთ; უფსკრულში ჩავარდნა - ეს გამოუცნობის წინაშე, შეიძლება გამოცდის შიშის სიმბოლოა; თუ ვინმე მოგლევთ, ეს იმაზე უნდა მიგანიშნებდეთ, რომ რაღაც ისტორია დაუთავრებელი გაქვთ, ესე იგი, როცა რაღაც ურთიერთობა თითქოს უკვე შეწყვიტეთ, მაგრამ ვერ ვერ შერიგებიხართ განხეთქილებას; როცა გაქცევა გინდათ და ვერ გარბიხართ, რა თქმა უნდა, სიზმარში, ეს ნიშნავს, რომ რაღაც სახალისი წინაშე შიში ვერ დაგიძლევათ; სიზმარში სიკვდილი თქვენი სულის ჩრდილოვან მხარეს აჩენს: თითქოს გამოსავალს ეძებთ თქვენი გრძნობები და ხასიათის ნიშნები (მაგალითად, შური, ბრახი), რასაც რეალურ, ნორმალურ ცხოვრებაში ებრძვით და არ ავლენთ.

მაგრამ ცოტაა დამეული კომპარების სიმბოლეის ცოდნა, მთავარია ის, რომ უკვე შესაძლებელია მათთან ბრძოლა. მეცნიერების აზრით, რაც უფრო მეტად ფანტაზიორობთ სიფხიზლეში, მით უფრო "უვნებელი" ხდება თქვენი სიზმრები. ისინი ასევე გვიჩვენებენ, თუ დამე კომპარი გეისხმართ, როცა გაიღვიძებთ და გაიხსენებთ, შეეცადეთ ბედნიერი გავრძელება და დასასრული გამოუგონოთ. საჭიროა ვისწავლოთ ჩვენი აზრებისა და გრძნობების მართვა სიზმარშიც კი!

### "არ შეხვედრიხართ მრუდირებულ მსახიობს?"

მაირა სორვინო მსახიობობაზე არც ფიქრობდა. მან პარვარდის უნივერსიტეტი დაამთავრა, სადაც ჩინეთის ისტორია, კულტურა და ენა შეისწავლა. მაგრამ აღმოსავლეთის სიყვარულმა ვერ აჯობა დიდი ლტოლნი მამის, კინოს მსახიობმა ვას ხიობ



პოლ სორვინოს (სკორცეხეს ფილმში მათვის ბოსი) კვალს გაჰყვა. მაირამ პირველი როლი შეასრულა საშინელებათა ფილმში, რომლის სახელიც ისტორიას არ შემოუნახავს. ამას კვლავ მსგავსი უზარისხო ფილმები მოჰყვა. ექვსი წელიწადი საშინელ ოთახში მიხდებოდა ცხოვრება ისტორიაში, - ივონებს ახლა მსახიობი, - ნარკომანისა და განსეტერის მეზობლად. ბოლოსდაბოლოს მაირას მოთმინებასაც დააღეს საშუალება. ვუღი ალენმა იგი მეძავი ქალის როლზე მიიწვია "ყოლისშემძლე აჯრო-ლიტეში". მსახიობმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა ამერიკის კინოაკადემიის წევრებზე და მას "ოსკარის" პრემიაც მიაკუთვნა. ამას მოჰყვა ისეთი რეჟისორების წინადადებებიც, როგორებიც არიან რობ ვაისი და უიტ სტილმანი. მსახიობი ქალი წარმატებას, პირველ რიგში, დიდ შრომისმოყვარეობას უმაღლის და იმედოვნებს, რომ მალე ლიუკ ბესონის, ტერი ვილიამსისა და მარტინ სკორცეხეს ყურადღებასაც დაიმსახურებს... მაირას ძალიან უყვარს თავისი პროფესია, ოღონდ საოცრად აღიზიანებს რეპორტიორთა ჩვეული თხოვნა, გვითხარით რაქ ჩინურადო. "რაო, არასოდეს არ შეხვედრიხართ ერუდირებულ მსახიობს?" - მიუგებს ხოლმე იგი ჩვეულებრივად.

### ინფორმაცია მსოფლიოში ირგვლივ

(დასასრული) ყილოს ავიაკომპანია "ლიუფტ-განზას" სახელმწიფო წილი, რაც აქციების 36 პროცენტს შეადგენს. ეს წილი 2 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. მთავრობის სურვილია კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტი დაარჩეს გერმანელი აქციონერების ხელში. გერმანიის ფინანსთა სამინისტროს განზრახული აქვს კომპანიის პრივატიზება დაამთავროს 1997 წლის დამლევსათვის.

### ინფოსტიციაში 7.5 მილიარდს შეადგენს

მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის განცხადებით, რუსეთის დედაქალაქში ყოველწლიურად ბანდდება 7,5 მილიარდი დოლარი. აქედან 5 მილიარდი გამოიყოფა საქალაქო ბიუჯეტისა და მოსკოველი ინვესტორებისაგან, 2 მილიარდი ეკუთვნით უცხოელ ინვესტორებს, ხოლო 0,5 მილიარდი - რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს. მერის განცხადებით, დღეისათვის მოსკოვი წარმოადგენს "ინვესტირების ყველაზე ძლიერ ობიექტს".

### ფრანგი ავტომშენებლები საეუროპაში აღვიდას ამცირებენ

"ჰეუო სიტროენი" და "რენი" მოლაპარაკებას აწარმოებენ ქვეყნის მთავრობასთან იმ პროექტის განსახორციელებლად, რომელიც ითვალისწინებს რამდენიმე ათასი საშუალო ადგილისა და პენსიაზე გასასვლელი ასაკობრივი ცენზის შემცირებას. არის ვარაუდი, რომ ამ პროექტის მიღებით დაზარალდება 40 ათასი ადამიანი. კომპანიები იძულებულნი არიან გადადგან ასეთი რადიკალური ნაბიჯები უცხოელი ავტომშენებლების კონკურენციის მკვეთრი ზრდის გამო.

### აფხალები სააფხაში პრემიას

ჩინეთი, ევროპა და სინგაპური ემზადებიან შექმნან 100 ადგილიანი რეაქტიული თვითმფრინავი AE-100. პროექტის განხორციელებაში მონაწილეობენ ჩინეთის "ვიეინი ინდასტრიზი", ევროპული კონსორციუმი "ბრიტიშ აეროსპეისი" და "სინგაპურ ტექნოლოჯიზი". პროექტში ჩინეთის წილი შეადგენს 46 პროცენტს, ევროპული კონსორციუმისა - 39 პროცენტს, სინგაპურისა - 15 პროცენტს. ოქმს ხელი მოაწერეს იკნოში, მაგრამ დღემდე არ არის მიღწეული საბოლოო შეთანხმება, თვითმფრინავი კი მსოფლიო ბაზარზე უნდა გამოვიდეს 2000 წელს. პროექტში მონაწილე მხარეები აპირებენ გამოუშვან არანაკლებ ათასი AE-100 და გაყიდონ მსოფლიოს ყველა კუთხეში.

### ინფორმაცია

# მე-3 და მე-4 ღებდა უფრო იზღვინი ყოფილა


ნოემბრის პირველ ნახევარში, ქვეყანაში 1996 წლის 1 იანვრის ფასებში წარმოებულ იქნა 25 მილიონამდე ღებებულების სამრეწველო პროდუქცია, რაც თითქმის 2 პროცენტით აღემატება ოქტომბრის პირველი ნახევრის მაჩვენებელს.

აღნიშნულ პერიოდში სამრეწველო წარმოების მოცულობები გაიზარდა ქ თბილისში (5,7 პროცენტით), აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (25 პროცენტით), მცხეთა-მთიანეთის (2,6-ჯერ), კახეთის (3,4-ჯერ), სამცხე-ჯავახეთის (9,8 პროცენტით) მხარეებსა და ქ. ფოთში (31 პროცენტით). დანარჩენ რეგიონებში სამრეწველო პროდუქციის წარმოება შემცირდა. მათ შორის: იმერეთის მხარეში - 20 პროცენტით, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარეში - 28 პროცენტით, გურიის მხარეში - 13 პროცენტით, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში - თითქ-

მის 2-ჯერ, ქვემო ქართლის მხარეში - 16 პროცენტით და შიდა ქართლის მხარეში - 11 პროცენტით.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს გამოიკვეთა ტენდენცია, როცა თვის პირველ ნახევარში იწარმოება დაახლოებით 2-ჯერ ნაკლები პროდუქცია, ვიდრე მეორეში. მაგალითად, მარტის პირველ ნახევარში (სოცკონომინფორმის ოპერატიულ მასალებზე დაყრდნობით) ქვეყანაში წარმოებულ იქნა 45%-ით ნაკლები სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე მეორეში, აპრილში - 46%-ით, მაისში - 57%-ით, ივნისში - 51%-ით, სექტემბერში - 56%-ით, ოქტომბერში კი - 50%-ით ნაკლები. ამდენად, თუ ამ ტენდენციას გავითვალისწინებთ, ნოემბრის მეორე ნახევარში, ენერგორესურსების ნორმალური დომარაგების შენარჩუნების პირობებში, მოსალოდნელია სამრეწველო წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა.

ნოემბრის მეორე დეკადაში ელექტროენერჯეტიკის სექტორმა გამოიმუშავა 212,6 მლნ კვტ საათი ელექტროენერჯია. ოქტომბრისაგან განსხვავებით შეიცვალა ელექტროენერჯიის გამოიმუშავების სტრუქტურა. კერძოდ, ჰესებმა გამოიმუშავეს სულ 167 მლნ კვტ საათი, დანარჩენი ნაწილი კი გამოიმუშავეს იქნა



თბილისრესში. ელექტროენერჯიის მოლიანმა მოხმარებამ 10 დღეში შეადგინა 215 მლნ კვტ საათი, რაც საკუთარი წარმოების გარდა შეივსო მცირე რაოდენობის იმპორტის ხარჯზე რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან.

სახელმწიფო კომპანია საქენერგოს შეფასებით, წელს ელექტროენერჯეტიკული კომპლექსის ზამთრისათვის მოძრადების ხარისხი გაცილებით უმჯობესია შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რასაც განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: - მარეგულირებელი ელექტროსადგურების წყალსაცავებში შენარჩუნებულია წყლის მაქსიმალური დონე. ფაქტურად წყალსაცავების დამუშავება დაწყებულია ნოემბრის მეორე დეკადიდან. ამჟამად წყლის მარაგი 806 მლნ კვტს შეადგენს, მაშინ, როდესაც შარშან ამავე პერიოდში წყლის მარაგი იყო 530

# »ილირის ნათურა« ზამთარშიც ენთუზიუზული

მლნ კვტს, ანუ 276 მლნ კვტს-ით ნაკლები;

- მეზობელ ენერგოსისტემებთან აღდგენილია ელექტროკავშირები. აზერბაიჯანთან და რუსეთთან დამაკავშირებელი სისტემათაშორის

შემუშავებული ორი ბრუნვის "ენერჯეტიკა-1" და "ენერჯეტიკა III"-ის მიხედვით, განსაკუთრებით 500-220 კვ ტრანზიტის იმედიანობის გაზრდის მიმართულებით. სარემონტო სამუშაოები გრძელდება პროგრამების შესაბამისად;


- ნაწილობრივ დარეგულირდა საწვავის მოწოდების საკითხი. მაზუთის მარაგის დაგროვება თბილისრესის რეზერვუარებში მიმდინარეობს ნორმალურად. რაც შეეხება ბუნებრივ აირს, ჯერჯერობით ყოველდღიურად თბილისრესს მიწოდდება დაახლოებით 2,5 მლნ კუბური მეტრი გაზი, რაც იძლევა საშუალებას მუშაობაში იყოს სამი ენერგობლოკი;

- გაუმჯობესებულია ელექტროენერჯის პარამეტრები, სიხშირე 49-50 ჰერცის ფარგლებშია, მაშინ, როდესაც ბოლო 4-5 წლის განმავლობაში ენერგოსისტემა მუშაობდა ავარიულ სიხშირეზე 43-46 ჰერცის ფარგლებში.

ამჟამად ხორციელდება მოხმარების შეზღუდვები გრაფიკის მიხედვით. სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებისა და დიდი წარმოებების გარდა, ელექტროენერჯია მიწოდდება მხოლოდ 8-10 და 19-24 საათების განმავლობაში.

სისტემის დებიტორული დავალიანება 150 მლნ ლარია. მოხმარებული ელექტროენერჯიის საფასურის გადახდა პრაქტიკულად შეფერხებით მიმდინარეობს აჭარაში, ცუდად მუშაობენ ლანჩხუთის, ჩოხატაურის, კასპის, ბორჯომის, საგარეჯოს, დუშეთის, თიანეთის, წალკის, თეთრიწყაროს, დედოფლისწყაროს, წყალტუბოს, ვანის ენერგოკომპანიები. გაძნელებულია თანხების აძოლება თბილისში, მაშინ როცა დედაქალაქის მოხმარება შეადგენს რესპუბლიკის მოხმარების 30%-ს, ხოლო მაქსიმუმის საათებში 40-45 %-ს. არ იხდის ელექტროენერჯიის საფასურს მეტროპოლიტენი, მისი დებიტორული დავალიანება 700 ათას ლარს აჭარბებს.

მოხმარებული ელექტროენერჯიის საფასურის ასანახაურ რეზერვუარებში დამოკიდებული ლიმიტები რესპუბლიკის ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციებისათვის ფინანსთა სამინისტრომ ამოწურა, რაც საქენერგოს დააკლებს 500 ათას ლარს, თუ არ გამოიძენა რაიმე სხვა საშუალება.



სი ელექტროგადამცემი ხაზები მზადყოფნაშია და დღეისათვის გამოერთულია რეჟიმულად;

- ენერგეტიკული მოწყობილობების რემონტის სამუშაოები სრულდება დროულად. თბილისის სრესში ამჟამად მუშაობს სამი ენერგობლოკი, ხოლო მე-4 ენერგობლოკის რემონტი უნდა დამთავრდეს თვის ბოლოსათვის. ფაქტურად თბილისრესში მუშა სიმძლავრე 400-450 მვტ-ია. თბილესში მზადყოფნაშია ერთი ტურბოგენერატორი, დანარჩენი რემონტდება. მიმდინარეობს მე-4 ჰიდროაგრეგატის რემონტი ენგურჰესში. დანარჩენ ჰიდროელექტროსადგურებზე შეფერხებები გამოიმუშავებაში აგრეგატების მიხედვით არ არის. ყველა სადგური მუშაობს წყლის არსებული რესურსების შესაბამისად.

დიდი სამუშაოები ჩატარდა ელექტროსისტემებში, აქ მუშაობა წარიმართა გერმანიის კრედიტით

ეროვნული ბანკის ცნობით, განვლილ კვირაში შიდა სავალუტო ბაზარზე ლარის ბანკოტური კურსი კვლავ სტაბილური იყო. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე კვირის ბრუნვამ 2,5 მლნ, ხოლო საქართველოს

გებათა საერთო მოცულობამ 620 ათასი ლარი, ხოლო საპროცენტო განაკვეთმა 13% შეადგინა. ეროვნულ ბანკს აუქციონში მონაწილეობა არ მიუღია.

21 ნოემბერს გაიმართა ეროვნული ბანკის ბანკთაშორის

# ქუვიტაძე ჯერჯერობით ბებრი ბზიკლია

საქართველო არასოდეს ყოფილა "ნავთობის ქვეყანა", თუმცა გარკვეული რაოდენობის მოპოვება ყოველთვის ხდებოდა.

ეკონომიკის სამინისტროს ცნობით მეორე დეკადაში ნავთობის მოპოვება კვლავ სტაბილურად მიმდინარეობს. ამ პერიოდში მოპოვებულია თითქმის 10 ათასი ტონა ნავთობის ნედლეული. ნაწილი მახტების აქტივების შედეგად მოპოვებულია 2575 ტონა ნახშირი, რომელიც გადაიტვირთა შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის მზადების პროგრამით გათვალისწინებულ რეგიონებში.

გამოცოცხლება შეინიშნება მსუბუქი მრეწველობის დარგშიც. ეკონომიკის სამინისტროს სისტემაში შემაჯავლი მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა, ნოემბრის მეორე დეკადაში აწარმოეს 420 ათასი ლარის პროდუქცია ანუ 61,5 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა დეკადაში. მათ შორის წარმოების მოცულობა 2,7-ჯერ გაიზარდა აბრეშუმის მრეწველობაში, 5-ჯერ ტრიკოტაჟის მრეწველობაში, 38,8 პროცენტით შალის მრეწველობაში.

ეს, რა თქმა უნდა, შთაბეჭდავი წარმატებაა.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მონაცემებით 20 ნოემბრისათვის ქვეყანაში საშემოდგომოდ დათესილია 135,4 ათასი ჰექტარი, რაც გათვალისწინებული 73%-ს შეადგენს. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დათესილია 35,4 ათასი ჰექტარით მეტი საშემოდგომო კულტურები.

საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვის სამუშაოების შესრულება რაიონების მიხედვით ასეთია: კახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში აღნიშნული სამუშაო შესრულებულია 70%-ით, შიდა ქართლში - 83%-ით, სამცხე-ჯავახეთში - 53%-ით, განსაკუთრებით ჩამორჩებიან საგარეჯოს - 31%, ასპინძის - 41%, ახალციხის და ახალქალაქის - 50%, ახალგორის - 44%, თიანეთის - 56%, მარნეულის - 59%, ახმეტის - 67%, სიღნაღის - 69% რაიონის მხენელ-მთესველები.

რაც შეეხება მოსავლის აღებას. 15 ნოემბრისათვის საქართველოს მიერ ტერიტორიაზე მოშეილი იყო თავთავიანი მარცვლოვანი კულტურები 162,3 ათას ჰექტარზე. საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ კი 14,7 ცენტნერი შეადგინა, რაც მართალია, აღემატება შარშანდელ შესაბამის მაჩვენებელს, მაგრამ ჩამორჩება პროვინციის ნაწარმულს. ეს მაჩვენებელი საშუალოსთან შედარებით უფრო მაღალია ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის მხარეებში (შესაბამისად 16,4 და 16,9 ცენტნერი). დაბალია იგი სამეგრელოსა და ზემო სვანეთის (3 ცენტნერი), იმერეთის (9,4 ცენტნერი) მხარეებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (8,8 ცენტნერი).

სიმინდის ნათესები აღებულია 163,8 ათას ჰექტარზე და მიღებულია 271 ათას ტონამდე სიმინდი ანუ საშუალოდ ერთ ჰექტარზე 16,5 ცენტნერი. სიმინ-

დის საჰექტარო მოსავლიანობამ მცხეთა-მთიანეთში შეადგინა 22,5 ცენტნერი, ქვემო ქართლში - 22,7 ცენტნერი, შიდა ქართლში - 23,3 ცენტნერი, სამცხე-ჯავახეთში - 23,8 ცენტნერი, კახეთში - 17,8 ცენტნერი, მაშინ როცა სამეგრელოსა და ზემო სვანეთში ის შეადგენს - 19,2 ცენტნერს, აჭარაში - 16,6 ცენტნერს, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში - 16,2 ცენტნერს, ხოლო იმერეთში - 12,4 ცენტნერს.

15 ნოემბრისათვის კარტოფილი აღებულია 19,8 ათას ჰექტარზე. მისმა საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ 68,2 ცენტნერი შეადგინა. მათ შორის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში - 109,1 ცენტნერი, იმერეთის მხარეში - 106,9 ცენტნერი,

# საშუალო მოსავლიანობა პატასტროფულად დაბალია

სამეგრელოს მხარეში - 30,2 ცენტნერი, გურიის მხარეში - 89,1 ცენტნერი, მცხეთა-მთიანეთის მხარეში - 65,7 ცენტნერი, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში - 65,2 ცენტნერი, კახეთის მხარეში - 11,9 ცენტნერი, ქვემო ქართლის მხარეში - 99,4 ცენტნერი, შიდა ქართლის მხარეში - 27,6 ცენტნერი და სამცხე-ჯავახეთის მხარეში - 68,8 ცენტნერი.

ბოსტნეული აღებულია 21,1 ათას ჰექტარზე 150 ათასი ტონის ოდენობით, რაც საშუალოდ ერთ ჰექტარზე 71,1 ცენტნერია. შედარებით მაღალია ეს მაჩვენებელი აღმოსავლეთ საქართველოს ისეთ რეგიონებში, როგორცაა: შიდა ქართლი - 128,6 ცენტნერი, სამცხე-ჯავახეთი - 107,3 ცენტნერი.

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 5 სექტემბრის №206 განკარგულების შესაბამისად,

საქართველომ მონაწილეობა მიიღო საფრანგეთის ქალაქ დიფონში (ბურგუნდია) გამართულ ტრად-

იციულ საერთაშორისო გასტრონომიულ გამოფენა-ბაზრობაზე. ექსპოზიციაზე წარდგენილი იყო 57 დასახელების მშრალი, ნახევრადმშრალი და შემადგებელი ღვინოები, კონიაკი, არაყი, მინერალური წყლები: "ბორჯომი" და "საირმე", საკონსერვო მრეწველობის პროდუქცია, სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, აბრეშუმი, ფერწერული ტილოები, გობელენები, სამენი და მონაპირკეთილი მასალები, ფაიფური და სხვა.

გამოფენა-ბაზრობაზე გაიმართა არაერთი საქმიანი მოლაპარაკება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ღვინის, მარცვლეულის, შაქრის და სხვა პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაში ურთიერთთანამშრომლობის განვითარების თაობაზე.

სოფია მეურნიშვილი

# ლარის ბანკნოტური კურსი სტაბილურია

ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულმა ინტერვენციებმა 2,4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. კომერციული ბანკების მოთხოვნა

უცხოურ ვალუტაზე წინა კვირის ამავე მაჩვენებელთან (4,9 მლნ აშშ დოლარი) შედარებით 2-ჯერ შემცირდა. ბანკთაშორის ბირჟაზე დაფიქსირებული ოფიციალური კურსი კვირის ბოლოს 1 აშშ დოლარს - 1,28 ლარით განისაზღვრა.

19 ნოემბერს გაიმართა ეროვნული ბანკის ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების აუქციონი, რომელშიც თანხების განთავსების ვადა 1 კვირით განისაზღვრა. გარი-

სი საკრედიტო რესურსების მორიგი აუქციონი, სადაც თანხების განთავსების ვადა 3 თვით განისაზღვრა. გარიგებათა საერთო



თო თანხამ 500 ათასი ლარი, ხოლო საპროცენტო განაკვეთმა 32% შეადგინა. მიუღია თანხა ეროვნულმა ბანკმა გაყიდა.

ლერი ფულარია

# უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღებასაც სოფლა სჭირდება

ფული იძლევა საშუალებას გაემგზავროთ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, მაგრამ საპასპორტო რეკვიზიტების და ქვეყნის შიდა წესების სპეციფიკის უკონდინარო შემთხვევაში საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენოთ.

ჩვენს ქვეყანაში, სადაც მძიმე ეკონომიკური პირობებია, თანაც დაბალია ხელფასები, არსებობს უმუშევრობა და ენერგეტიკული კრიზისი, ზოგიერთს ებაძება სხვა სახელმწიფოს მოქალაქედ გახდომის სურვილი. აქედან გამომდინარე, ჩნდება შეკითხვა: როგორ გავხდეთ სხვა სახელმწიფოს მოქალაქე?

უპირველეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღება ხდება სპეციალური პროგრამის ფარგლებში. ასე რომ, თქვენ იხდით ფულს არა ადგილობრივი მოქალაქეობის დამატებით დასაბუთებლად, არამედ რიგგარეშად თანხას თქვენი მომავალი სამშობლოს "კეთილდღეობის ფონდში". მათ შორის ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, ესპანეთში) მოქალაქეობის მისაღებად საკმარისია ადამიანის სამუშაოთი დაკავშირება (თუნდაც მძღოლის, მეზღვის, მზარეულის...). კანადის მოქალაქეობა შეიძლება მიიღოთ 200000 კანადური დოლარის (170 ათასი ამერიკული დოლარი) საფასურად. ზოგიერთი ლათინოამერიკული ქვეყნის, მაგალითად, ვენესუელის მოქალაქეობა 50000 დოლარი ღირს, ხოლო კოსტა-რიკისა - 60000 დოლარად შეიძლება შეიძინოთ. მაგრამ ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღებისას კარგად იცოდეთ არსებული სახელმწიფოში მოქმედი კანონები. ზოგიერთ მათგანში თქვენ სულ უბრალოდ შეიძლება დაკარგოთ დიდი შრომის და გარკვეული დანახარჯების საფასურად მიღებული მოქალაქეობა.

იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ არ მიიღეთ ახალი სამშობლოს შესახებ კონსულტაციები კომპეტენტური პირებისაგან, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მორიგი რეკვიზიტის, სამხედრო გადატრიალების ან სახელმწიფოს სათავეში ახალი მმართველი პარტიის ოსვლის შემთხვევაში, მთავრობამ კიდევ ერთხელ მოითხოვოს მიღებული პასპორტების (მოქალაქეობის) დადასტურება და თუკი ეს მოქალაქეობა მიღებულია "მოქალაქეობა ინვესტორებისათვის" პროგრამის ფარგლებში, ადგილობრივი ხელისუფალნი თქვენგან დამატებით ფულადი ხარჯების გაღებას მოითხოვებენ.

ინფორმაცია იმ ქვეყნების შესახებ, რომლებშიც თქვენ გადაწყვიტეთ მერე სამშობლოს პოვნა, სასურველია ნახოთ ინგლისურ ენაზე გამოცემულ წიგნში "როგორ შეგიძლიათ კანონიერი გზით შეიძინოთ მერე პასპორტი".

თუმცა, მოქალაქეობის მიღების უფრო რთული გზაც არსებობს. როგორც წესი, საზღვარგარეთ რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ,

ზოგიერთ ქვეყნებს, მაგალითად, აშშ-ს, ავსტრალიას შეუძლიათ მისცენ უცხო ქვეყნის წარმომადგენელს ადგილობრივი მოქალაქეობა.

საერთოდ, მოქალაქეობის მისაღებად უნდა მიმართოთ შესაბამისი ქვეყნის საელჩოს (საკონსულოს) თქვენს ქვეყანაში, სადაც თქვენ მივიღებთ თანამშრომელი, რომელიც ვალდებულია გესაუბროთ თქვენთვის საინტერესო საკითხზე და მოგაწოდოთ ამოწურავი ინფორმაცია მოქალაქეობის მიღების წესებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ადამიანი ტყუილად, როცა საშუალო ფირმების და კერძო პირების დაპირებების თანხმად, საზღვარგარეთ სამუშაოდ მიდის იმ პირობით, რომ სამუშაოს დამთავრების შემდეგ, დამქირავებელი მათ ამორჩეული ქვეყნის მოქალაქეობის მიღებაში დაეხმარება. ყველა შემთხვევაში ეს აშკარა ტყუილია. უფრო მეტიც, ზშირად დამქირავებელი არა-ადამიანურ პირობებში, მინიმალურ გასამრჯელოზე მუშაობენ მომავლის იმედით. ასეთ ეფემერულ ოცნებებს, რა თქმა უნდა, განხორციელება არ უწერიათ.



ყველაზე საიმპო და მომგებიანი საშუალება სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებას არის ქორწინება, რომელიც შეიძლება იყოს ფიქტიური. თუმცა, ამ შემთხვევაში მოქალაქეობის დაკარგვის რისკი საკმაოდ დიდია, რადგან არც ადგილობრივ ხელისუფალთ სინათლ და მათ ბევრი მეთოდი აქვთ დამუშავებული იმის გამოსარკვევად, თქვენი ქორწინება ნამდვილია თუ ფიქტიური. ზოგ ქვეყანაში, მაგალითად, ლიხტენშტეინში, ფიქტიური ქორწინება მოქალაქეობის მისაღებად ან საგადასახადო სტატუსის შესაცვლელად (ლიხტენშტეინი იმ ქვეყნების რიცხვში შედის, სადაც გადასახადების შვავითაინი სისტემა შეიქმნა), ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად. აქედან გამომდინარე, ყველა არასასურველი შედეგით.

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ საზღვარგარეთის უმეტეს ქვეყნებში არსებობს გარკვეული ნორმები, რომელთა მიხედვითაც თქვენ შეგიძლიათ მიიღებოთ მოქალაქეობის დაკარგვა. მაგალითად, თუ იგი

მიიღეთ რაიმე "შეინაცუების გზით" ან საკუთარი მონაცემების მოყვანისას წინასწარი განზრახვით არასწორი ინფორმაცია მიაწოდეთ ადგილობრივ ხელისუფალთ, მაშინ აშშ-ში, ისრაელში, რუმინეთში, ინდოეთში ან ჰონდურასში ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გართმევენ მოქალაქეობას. არგენტინაში ამის პირობა არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმა, ჯარში სამსახურისათვის თავის არიდება ან ნაციონალური სიმბოლიკის (დროშის, ღერბის) შეურაცხყოფა. გაიანაში, ჰონდურასში და გვატემალაში მოქალაქეობას კარგავთ სასამართლოს გადაწყვეტილების თანხმად, თუ თქვენ დაგიმტკიცებენ, რომ უსაქმურ (!) სუბიექტს წარმოადგენთ.

ქორწინების ხარჯზე მიღებულ მოქალაქეობას კი, კიდევ ერთი უარყოფითი მხარე აქვს. წარმოდგინეთ, რომ თქვენს მეუღლესთან გაყრის შემთხვევაში, თქვენი უკვე ყოფილი მეუღლის ადვოკატები ყადაღას დაადებენ ქონებას. ბევრი ეროპული ქვეყნის (მაგ. საფრანგეთი, გერმანია, აშშ-ს ზოგიერთი ჩრდილოეთ შტატი) საქორწინო კონტრაქტის მიხედვით,



## ბილი პოლიტიკის საყვარელი »ბიჭუნა«

დიდი პოლიტიკას დიდი ფული განსაზღვრავს და ეს ქეშმარიტება ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულმა უკანასკნელმა საპრეზიდენტო არჩევნებშიც დაადასტურა.

ანალიტიკოსები არჩევნებამდე ჯერ კიდევ რამოდენიმე თვით ადრე ვარაუდობდნენ რომ რესპუბლიკელი ბობ დოული დემოკრატ ბილ კლინტონს დიდ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. მათი ვარაუდი გამართლდა. რესპუბლიკელმა არჩევნებში მონაწილეობა "მონაწილეობის" გულისთვის მიიღო და სასტიკად დამარცხდა.

წინასაარჩევნო გამოკითხვები ცხადყოფდა, რომ ამერიკელები ქაფილილები იყვნენ პრეზიდენტის მიერ გატარებული საშინაო და საგარეო პოლიტიკით, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ შედეგებში ასეთ სხვაობას არავინ მოელოდა.

ეტყობა, აქ უკვე ფულმა (თახაც დიდმა) ითამაშა თავისი როლი.

როგორც ირკვევა, კლინტონის წინასაარჩევნო ფონდში უზარმაზარი თანხები (არც თუ ისე კანონიერი გზებით) მიიღო ინდონეზიელი და ტაი-

ვანიანი. დიდი ფული გაიღეს ბუდისტმა ბერებმა ცენტრალ რა მიხინი?

კლინტონს აქტიურად დაეხმარნენ პოლიტიკის ვარსკვლავებიც. ყველაზე მეტად თავი სტივენ სპილბერგმა „მოიქაჩა“ - 100.000 დოლარი. ბარბარა სტრეიზანდი 50.000 დოლარის გადაირიცხვით, დაკმაყოფილდა. მაიკლ დუგლასმა და პოლ ნიუმენმა შესაბამისად 27 და 10 ათასზე მეტი ვერ გაიმეტეს.

კიდევ უფრო ხელმოქვერილები აღმოჩნდნენ რობერტ დე ნირო და ჯეინ ფონდა - ათასათასი დოლარი.

ნამდვილად შეიძლება ეწოდოთ ძუნწები ალექს ბოლდუინს-500 დოლარი, ტომ ჰენკსს-250 დოლარი და ქვენი კოსტინერს-250 დოლარი.

თუმცა აქ მორალურ მხარდაჭერას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა (მაგ. მადონა მხოლოდ ამით შემოიფარგლა). ასეთი კეთილისმსურველების ყოლის შემთხვევაში აშშ პრეზიდენტობისთვის შეიძლება ზოგიერთი ჩვენი პრეზიდენტობის კანდიდატსაც კი გამოეყრა ხელი.

„კომენტარი“

### ბირთვული საბირთო სამუშაოს ფასები მთავარი ბაზარზე

ოქრო (\$ უნც)	383.00	ნეთიზი (\$ ბარელი)	23.81
ალუმინი (\$ ტ)	1432.5	ზოზლი	
სპილენძი (\$ ტ)	2018	(ინგ. გირვ. ტ)	95.20
ნიკელი (\$ ტ)	7145	თეთრი შაქარი (\$ ტ)	304.50

რესპუბლიკა (ვალუტა)	IS	ცვლილება	რუს. რუბ. 1000	ცვლილება
აზერბაიჯანი (მანათი)	4150.0	-5	760	0
სომხეთი (დრამი)	438.2	+17.18	79.3	+2.5
ბელორუსია (ბელარუბ.)	15100.0	+100	2750	0
საქართველო (ლარი)	1275	+0.005	0.225	0
ყაზახეთი (თუნგე)	69.85	+0.35	13.6	0
ყირგიზეთი (სომი)	15.72	+0.32	2.8707	+0.0466
ლატვია (ლატი)	0.550	-0.004	0.104	+0.0025
ლიტვა (ლიტი)	4.0	0	0.7295	-0.0043
მოლდოვა (ლეი)	4.66	+0.048	0.847	+0.003
რუსეთი (რუბლი)	5481.0	+25	-	-
ტაჯიკეთი (ტაჯ. რუბ.)	301.0	0	56.0	0
თურქმენეთი (მანათი)	4045.0	-5	738.95	-4.03
უკრაინა (გრენა)	1.87	+0.006	0.341	+0.009
უზბეკეთი (სუმი)	48.1	+4.6	8.79	+0.8

**ORIENT**

უხარისხო პროდუქცია ქართული ბაზარს აჯერებს

**დათო შანტური**

**მიელს მსოფლიოში პოპულარული ქრონოგრაფი HFAE14**

❖ ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

- მალვიძარა
- ქრონომეტრი
- ტახომეტრი
- წყალგაუმტარობა შენარჩუნებულია 50 მეტრის სიღრმეზე

**მსუბუქი, მდგრადი, ანტიკოროზიული ტიტანი დამზადებული 487Z02**

❖ ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

- გამჭვირვალე კორპუსი საშუალებას იძლევა თვალყური ადევნოთ მექანიზმის მუშაობას
- წყალგაუმტარობა შენარჩუნებულია 50 მეტრის სიღრმეზე

# 150 მეტრის გარბენისათვის - 1,5 მილიონი დოლარი

ცნობილი ამერიკელი მორბენალი მაიკლ ჯონსონი და კანადელი დონოვან ბელი თანახმაა არიან მონაწილეობა მიიღონ შეჯიბრებაში, რომელსაც "ჩემპიონთა გამოწვევა" ჰქვია. ეს ასპარეზობა მომავალი წლის მაისში უნდა გაიმართოს და გამოავლინოს პლანეტის უსწრაფესი ადამიანი. ასპარეზობა ჩატარდება 150-მეტრიან დისტანციაზე.

ასეთი ორთაბრძოლა მსოფლიოში ჯერ არ ჩატარებულა. ყველაზე უსწრაფესად დღემდე ითვლებოდა 100 მეტრში მსოფლიოს რეკორდსმენი.

შეგახსენებთ, რომ ჯონსონი და ბელი დღეისთვის მსოფლიოს რე-

კორდსმენები არიან 100 და 200-მეტრიან დისტანციაზე. ჯონსონის რეკორდი 200 მეტრზე არის 19,32. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ყოველ 100 მეტრს კანადელზე (9,84) უფრო სწრაფად გარბის. ასეთივე აზრისაა მეორე კანადელი და არანაკლებ სახელგანთქმული ბენ ჯონსონი. როგორც ცნობილია, იგი ნარკოტიკების გამოყენებისათვის მძლეონის საერთაშორისო ფედერაციის მიერ სამუდამოდ არის დისკვალიფიცირებული, მაგრამ დიდი სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს ასეთ შეჯიბრებაში და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ როგორმე მიაღწიოს

საწადელს - დაუბრუნდეს სპორტულ სამყაროს.

"საუკუნის ორთაბრძოლის" ჩატარებაზე პრეტენზიას ერთდროულად აცხადებს ხუთი ქალაქი, მაგრამ შეთანხმება ჯერ მიღწეული არ არის. ცნობილია მხოლოდ მთავარი - საპრიზო ფონდი. ორივე სპორტსმენი გარბენში მონაწილეობისათვის (შედგების მიუხედავად) მიიღებს 500 ათას დოლარს. კიდევ ერთი მილიონი გათვალისწინებულია გამარჯვებულისათვის. 1,5 მილიონი დოლარისთვის 150 მეტრის გარბენა ნამდვილად ღირს.

## ყველაზე კვირადღობის

ამერიკის შეერთებული შტატების ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მოთამაშეთა ხელფასის ფონდი ყველაზე დიდია "ნიუ-იორკ რეინჯერსში" - 37 მილიონ 885 ათასი დოლარი, ყველაზე დაბალი - "ნიუ-იორკ აილენდერსში" - 13 მილიონ 696 ათასი.

ლიგაში ყველაზე ძვირადღირებულ მოთამაშედ კვლავ რჩება მარო ლემიე ("პიტსბურგ პინგვინზი"). მისი ხელფასია 11.321.429 დოლარი. ყველაზე ნაკლები ანაზღაურება აქვს პატრიკ ფეტლის ("ნიუ-იორკ რეინჯერსი") - 125.000 დოლარი, ოღონდ ერთი პირობით: თუ იგი გუნდში ადგილს კიდევ ოთხი წლით შეინარჩუნებს, მაშინ კიდევ მიიღებს 100 ათას დოლარს.

## კრედიტი აღივს იცვლის

ესპანური პრესის ცნობით, შეიძლება სულ მალე "ვალენსიის" საფეხბურთო კლუბს სათავეში ჩაუდგეს იოჰან კრუიფი. გუნდის ხელმძღვანელობა ინტენსიურად მუშაობს პოლანდიელის გადასაბრუნებლად. "ვალენსიის" მწვრთნელის თანამდებობა ვაკანტური გახდა თურქეთის "ბეშიქთაშის" (3:1) მატჩის შემდეგ, როცა გადადგა ლუის არაგონესი.

## რა არის ავტობოლი?

ამ კითხვას ზუსტი პასუხი ვერ გასცა ფიფას ტექნიკური კომისიის მორიგმა სხდომამაც. საქმე ის არის, რომ დღეისთვის ამ მოძინტს სხვადასხვა ქვეყანაში თავისებური განმარტება აქვს. მაგალითად, იტალიაში ავტობოლი ითვლება ითვლება, თუ მქველი ოღნავ მაინც შეეხო ბურთს. არა აქვს მნიშვნელობა იმას, შეიცვალა თუ არა ბურთმა მოძრაობის მიმართულება. ანალოგიური სიტუაციისას ავტობოლის არ აფიქსირებენ. საერთაშორისო ფედერაციის ჩინოვნიკებს ამან უბიძგა ერთიანი თვალსაზრისის შემუშავებისაკენ, რათა არ შეეზღუდათ ამა თუ იმ ქვეყნის ბოძარდირთა ინტერესები.

განხილვამ შედეგი ვერ გამოიღო. საკითხი მომავალ სხდომამდე ღიად დარჩა.

## ერთობლივად დაიცავენ უსაფრთხოებას

ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა და ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის პრემიერ-მინისტრმა ხელი უკვე მოაწერეს სიდნეის 2000 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა უსაფრთხოების ერთობლივად დაცვას.



## სპორტული კალენდრის

### პლკიანი ტელევიზიური გადაცემის

80-იანი წლების ცნობილი დანიელი ვარსკვლავი პრებენ ელკიანი მალე დატოვებს მწვრთნელის თანამდებობას და ტელევიზიაში გადავა. მომავალი

წლის მარტიდან იგი სათავეში ჩაუდგება დანიაში ახალშექმნილ ფასიან სპორტულ არხს. ელკიანის გამოცდილება არ აკლია - იგი ადრე ტელეკომენტატორად მუშაობდა.

### ჰაბზურბერის ოლიმპიური ხელბეჭედი

რვა ტრანსნაციონალურმა კომპანიამ უკვე გამოთქვა სურვილი აქტიური მონაწილეობა მიიღონ ნაგანოს (1998 წ.) და სიდნეის (2000 წ.) ზამთრის ოლიმპიადების ფინანსურ მხარდაჭერაში. ოლიმპიური სპორტების ოჯახის ახალი წევრებისგან გამოირჩევა საყოველთაოდ ცნობილი ფირმა "მაკდონალდსი". ზამთრის თამაშების ისეთ "შეგორებთან" ერთად, როგორებიც არიან "კოკა-კოლა", "კოდაკი", "აი-ბი-ემი", "ვიზა", "პანასონიკი", "რენჯ-კოსტო", "ჯონ ჰენკოკი" (დაზღვევის ყველა სახე), ჰამბურგერმაკ დიდი წვლილი უნდა შეიტანოს მომავალი ოლიმპიადების ფინანსურ უზრუნველყოფაში. თითო-

ეული ოლიმპიადის ჩატარებას, ოლიმპიური კომიტეტის გაანგარიშებით 400 მილიონი დოლარი მოხმარდება. ოლიმპიური ბილეთების გაყიდვა ნაგანოში დაიწყება ზუსტად ერთი წლით ადრე. ბილეთების ფასი 18-დან 31 დოლარამდე ღირს. ყველაზე ძვირია ოლიმპიადის საზეიმო გახსნაზე დასწრების "უფლება". ეს "სამაგიურება" ყოველ მაყურებელს 315 დოლარი დაუჯდება, ხოლო პოკეისა და ფიგურული სრიალის ფინალის მხაზველები გადაიხდიან 270 დოლარს.

## ლეგიონერთა ნატურალიზაცია მიხანუფონილი არ არის

თურქეთის სპორტის მინისტრმა ბახატინ შექერმა არ მოიწონა ქვეყნის ცალკეული საფეხბურთო კლუბების ცდა ხელოწმურად გაზარდონ თავიანთი შემადგენლობაში უცხოელთა რაოდენობა. ლეგიონერთა ნატურალიზაციის ანუ მათთვის თურქეთის მოქალაქეობის მინიჭების გზით. ეს ხერხი უკვე გამოიყენა "ფენერბაჩემ", რომლის ნიგერელი მოთამაშეებმა აუგუსტინ ოკონმა და უნე ოკუნუემ არა მარტო თურქეთის მოქალაქეობა მიიღეს, არამედ ახალი სახელებიც - იაუუზ ოკონა და აბდულქერიმ უნე.

ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად ნიადგს აშხადებენ ცნობილი თურქული გუნდები "გალათასარი" და "ბეშიქთაში". "მე ვფიქრობ, რომ ლეგიონერთა ნატურალიზაციის პრაქტიკა საქმიანობის საზიანოა, რადგან მდიდარ და ღარიბ კლუბებს შორის ამოუვსებ უფსკრულს ქნის". - განაცხადა სპორტის მინისტრმა. საბოლოო გადაწყვეტილება ლეგიონერთა ნატურალიზაციის მიხანუფონილობაზე ქვეყნის მინისტრთა კაბინეტმა უნდა მიიღოს.

## დოპინგ-კონტროლი ნაკლებად აქტუალური ხდება

ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე როგორც ვაჟ, ისე ქალ ფეხბურთელთაგან აღებული იყო 34 დოპინგ-ტესტი. ყოველმა მათგანმა უარყოფითი შედეგი აჩვენა. ამასთან დაკავშირებით ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის სამედიცინო კომისია აღნიშნავს, რომ საერთაშორისო

ოლიმპიური კომიტეტის მიერ სტიმულირებელი პრეპარატების მიღების აღკვეთისაკენ მიმართული ღონისძიებები, ფეხბურთელებისთვის ნაკლებად აქტუალური ხდება. ეს დასკვნა კომისიის სწორედ ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ფეხბურთელთა "სისუფთავემ" გამოატანინა.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო თანაუგრძობს ქონების მართვის ზუგდიდის სამმართველოს უფროსს გივი ფიფიას დედის გარდაცვალების გამო.

გაზეთ "მესაკუთრის" რედაქციის თანამშრომლები თანაგრძობას უცხადებენ სახელმწიფო ქონების მართვის ზუგდიდის სამმართველოს უფროსს გივი ფიფიას დედის გარდაცვალების გამო.


გაზეთ "მესაკუთრის" რედაქცია ულოცავს ბელა ქობალიას პატარა სწორედ "მეზღვევს".

# კროსპორდი

### წინა ნომერში გამოკვეთილი პროსპორდის პასუხები:

თარაზულად: 5. ხართუმი; 6. პარტახი; 8. მოლუსკი; 9. ასკილი; 10. მარხაი; 14. ამბონი; 15. აზბესტი; 16. ეტალონი; 17. პრეტენზია; 18. პიტნა; 20. ნეშტი; 22. კვესი; 26. კრატერი; 27. თიორემა; 30. იხანი; 32. ეთიკა; 33. იორლა; 34. ვარნიტური; 39. ლარნაკი; 40. ჩარსაი; 42. ბალნურა; 43. რცხილა; 44. ფრეილი; 45. პლატინა; 46. ანშლაგი; 47. თხუნელი.

შეშულად: 1. კალიუმი; 2. ამფსონი; 3. კობალტი; 4. ტაქცინა; 6. პალვა; 7. იფანი; 11. ბოუსტი; 12. თეკერი; 13. ულვანი; 18. პრომეთე; 19. ალერგია; 20. ნიაზორი; 21. ინერცია; 22. კერპი; 23. იმედი; 24. შტო; 25. ურო; 28. რადიუსი; 29. ლომინი; 31. ორგანი; 35. პატრული; 36. ტაკაცანი; 37. ჩარდახი; 38. გრივალი; 40. ჩალმა; 41. იორკი.



### თარაზულად:

2. კუნძული ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. 6. გაპრიანებული ზედაპირი მქონე საგანი. 10. XIX საუკუნის შუა წლების მსოფლიოს უდიდესი მოჭარბაკი. 11. ამერიკელი კინოსახიობი. 12. ფიზიკური ცილა, კუნთების კუმშვადი მიოფიბრილების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. 13. სპორტული თამაში. 14. ესპანეთის ნაკრების ყოფილი მკარავი. 17. ნერვული უჯრედი. 20. შლამის თევზი. 21. ერთ-ერთი ლუდის სახელწოდება. 23. მცენარე; იკეთებს ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილ პატარა ყვითელ ყვავილებს; ხალხურ მედიცინაში ხმარობენ ღვიძლის სამკურნალოდ. 24. ჭერის კოჭების ჯერით აყვანილი კველი. 25. კუჭნაწლავის მწვავე დაზარალება დაავადება. 26. ბავშვების საყვარელი ზღაპრის გმირი, რომელიც დედოფალი გახდა. 28. ტერიტორია აფრიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. 31. მაღალ მთებში მცხოვრები დიდი მტაცებელი ფრინველი. 33. მითური ზომადი. 35. კანის ჩირქოვანი დაავადება. 37. ბუნებაში ანი ენდროსებრთა ოჯახისა. 38. მაღალ წრეებში პოპულარული სპორტული თამაში. 39. თევზი, მტევანფარფლიანთა ქვეკლასისა. 40. პურული მცენარე; აქვს წვნიანი, პრიალა, კიღში ჩამჯღარი მარცვალი; მისგან ამზადებენ ბურულუს; ხმარობენ აგრეთვე საქონ-

### შეშულად:

1. ნიდერლანდელი ფერმწერი. 2. სრული დამარცხება, დამხობა რისამე, მარცხი. 3. დროის ხანგრძლივ მონაკვეთი, რომელიც ხასიათდება რაიმე ღირსეანი მხარეების მოვლენით; ხანა. 4. კოლუმბის მიერ აღმოჩენილი მატრიკის თანამედროვე სახელწოდება. 5. დედანი. 6. პურული მცენარე; იკეთებს ტაროს, რომელზედაც განლაგებულია ყვითელი ან თეთრი მარცვლები. 7. მდინარე დასავლეთ საქართველოში. 8. შერისონაჟი ქართული მხატვრული ფილმიდან "ღვინის ქურდები". 9. ფრანგი კომპოზიტორი. 10. იტალიელი არქიტექტორი და ფერმწერი. 11. ქალაქი ლიბანში. 12. შტატი ჩრდილოეთ ბრაზილიაში. 13. სასამსურო ძაღლების ჯიშთა ჯგუფი. 14. შემოსავალ-გასავალის თანხათა შეფარდებითი ნუსხა. 15. უსაფრთხოების ნიღბი ძაღლისთვის. 16. სრული უწყნარობა, არეულ-დარეულობა. 17. დადებითი ელექტროდი. 18. შტატი ჩრდილოეთ ბრაზილიაში. 19. სასამსურო ძაღლების ჯიშთა ჯგუფი. 20. შემოსავალ-გასავალის თანხათა შეფარდებითი ნუსხა. 21. უსაფრთხოების ნიღბი ძაღლისთვის. 22. სრული უწყნარობა, არეულ-დარეულობა. 23. დადებითი ელექტროდი. 24. შტატი ჩრდილოეთ ბრაზილიაში. 25. უსაფრთხოების ნიღბი ძაღლისთვის. 26. სრული უწყნარობა, არეულ-დარეულობა. 27. დადებითი ელექტროდი. 28. შტატი ჩრდილოეთ ბრაზილიაში. 29. სასამსურო ძაღლების ჯიშთა ჯგუფი. 30. შემოსავალ-გასავალის თანხათა შეფარდებითი ნუსხა. 31. უსაფრთხოების ნიღბი ძაღლისთვის. 32. სრული უწყნარობა, არეულ-დარეულობა. 33. დადებითი ელექტროდი. 34. შტატი ჩრდილოეთ ბრაზილიაში. 35. უსაფრთხოების ნიღბი ძაღლისთვის. 36. შემოსავალ-გასავალის თანხათა შეფარდებითი ნუსხა.

გაზეთის დამფუძნებლები არიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და რედაქციის შემთქმელებითი კოლექტივი - "მესაკუთრე" რეგისტრირებულია თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოში. საარეგისტრაციო ნომერია 5/4-909.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციაში დახმავდა წარმოდგენილ წერილებში დახსენებული ფაქტების, ციფრების, სახელებისა და გვარების საზუსტეს უზრუნველყოფენ ავტორებს. დღებში დაშვებულ შეტყობინებებს რედაქცია პასუხს არ აცხადებს. რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება; დღებში ავტორებს არ უბრუნდებათ.

ავტორებს ფონთით ხუ შემთავთაგან უნდათ თაბახის 7 გვერდზე გრძელ წერილს. რედაქცია არ იღებს ხელნაწერებს.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.11.96.

მსაქობა რედაქციის მისამართი: მ. ზანდუკელის ქ. №1 ტელ: 99-93-07; 29-35-90. გაზეთი დაიბეჭდა ყურნალ-გაზეთების გამოცემლობა "სამშობლოში" მ. კოსტავას ქ. №14. სარედაქციო კოლექცია